პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

[illegible]

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

23 ნოემბერი
ოთხშაბათი

1918. მუშებმა განდევნეს ეროვნული კრება ვენაში და მოითხოვეს სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება.
1917. ნოემბრის რევოლუციის მსხვერპლთა დასაფლავება მოსკოვში წითელ მოედანზე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრონშტადტის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილის 10 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 218 ოთხშაბათი, 23 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 23 ნოემბერი, 1921 წ. № 218

თეზისები

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ფედერაციის საკითხის შესახებ

1. მარქსიზმის—პროლეტარიატის ამ ფილოსოფიის და სოციოლოგიის—ერთ-ერთი ძირითადი დებულების თანახმად, ამა თუ იმ საზოგადოების ეკონომიური საფუძვლები, ეკონომიური საძირკველი საზღვრავენ მის პოლიტიკურ ზედნაშენსაც.

მარქსიზმის და პოლიტიკურ ეკონომიის მთელი მეცნიერების მეორე დებულება ამბობს, რომ მეურნეობის განვითარება, განვითარება ქვეყნის საწარმოო ძალთა მთელი ჯამისა, რომელნიც შეადგენენ პოლიტიკურ, კულტურულ და ყოველგვარ სხვა პროგრესის პირველ მიზეზს, უფრო ჩქარი ტემპით წარმოებს სამეურნეო ტერიტორიის გაფართოების დროს, როდესაც განსხვავებული ოლქები თავისი ბუნებრივი სიმდიდრითა, გეოგრაფიულ, კლიმატიურ და სხვა პირობების მრავალფეროვნებით გაერთიანდებიან მთლიან სამეურნეო ორგანიზმად.

2. ამ ცხად ჭეშმარიტებებს აღიარებდნენ თვით ქართველი მენშევიკები, სანამ მათ კიდევ არ ჰქონდათ კავშირი გაწყვეტილი მარქსიზმთან და არ იყვნენ საბოლოოდ თვითგამორკვეულნი როგორც წვრილ-ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც შეებენ საერთაშორისო იმპერიალიზმის სისხლიან ეტლს. ორი ათეული წლების განმავლობაში ისინი საქართველოს მუშებს და გლეხებს აჩვევდნენ ამ ჭეშმარიტებას. ყველა თავიანთ გამოსვლებში—სტატიებში, წერილებში, ყრილობებზე, ნაციონალისტ-ავტონომისტების წინააღმდეგ პოლემიკაში—ისინი ხაზს უსვამდნენ მსხვილ სამეურნეო და სახელმწიფოებრივი გაერთიანების უპირატესობას. საქართველოს ავტონომიის იდეას თვით თვითმპყრობელობის დროს რუსეთში ისინი სთვლიდნენ ეკონომიურ და პოლიტიკურ რეაქციად (ნ. ჟორდანია, აკ. ჩხენკელი და მთელი რიგი მენშევიკ-პუბლიცისტებისა). ისინი შესაძლებლად სცნობდნენ ყოფა-ცხოვრების და ეკონომიური განსხვავებათა გამო, კავკასიის მხოლოდ საოლქო ავტონომიას, მის (კავკასიის) დანაწილებას საბაჟო ზღუდეებით ისინი აცხადებდნენ მოსაკვდინებლად ამ მხარის ეკონომიური წარმატებისათვის, რადგან იგი წარმოადგენს მთლიან სამეურნეო ორგანიზმს, რომლის დაქუცმაცება მას სპარსეთის ბედს განუმზადებდა.

3. პროლეტარულმა რევოლუციამ რუსეთში, რომელიც მოასწავებდა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის დასაწყისს, საბოლოოდ გადაისროლა ქართველი მენშევიკები მუშურ-გლეხური დიქტატურის უბოროტეს მტრების ბანაკში.

მაშინ გამარჯვებულ ოსმალეთ—გერმანიის იმპერიალიზმის მოთხოვნით, ქართველმა მენშევიკებმა გამოუთიშეს ამიერ-კავკასია საბჭოთა რუსეთს, მაგრამ მსხვილი სამეურნეო—პოლიტიკურ გაერთიანების სარგებლიანობის მოსაზრებებმა უკარნახეს მათ აზრი არა „დამოუკიდებელ" საქართველოს, არამედ მუშურ-გლეხურ რუსეთიდან დამოუკიდებელ ამიერ კავკასიის შექმნისა. რეაქციონურ დაშნაკებსა და მუსავატელებთან შეკავშირებით მათ დაარსეს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო, სეიმის მეთაურობით, და ფიქრობდნენ მოეზიდათ ამ კავშირში კონტრ-რევოლუციონური დაღესტნელ და ჩრდილო-კავკასიის თავადები, გენერლები და მოლები.

4. მაგრამ შემოტევის მწარმოებელი იმპერიალიზმის ინტერესები მოითხოვდნენ რუსეთის უფრო დასუსტებას, ამიერ-კავკასიის კიდევ მეტ დაქუცმაცების და მისი ნაწილების თავის მორჩილი იარაღად გადაქცევის გზით. შედეგად, 1918 წ. 26—28 მაისს ამიერ კავკასიის ტერიტორიაზე გაჩნდება სამი „დამოუკიდებელი" რესპუბლიკა, რომლების მიმართ ფარული და აშკარა მშობლიური უფლებები ეკუთვნიან ოსმალეთის გენერლებს და გერმანელ ლეიტენანტებს.

5. ატარებდნენ რა სამარცხვინო არსებობას და გადადიოდნენ რა ერთი იმპერიალისტური კოალიციის ხელიდან მეორეში, ქართველი მენშევიკები, რომელნიც მოეწყვნენ „დამოუკიდებელ" საქართველოში: განუწყვეტლივ იმეორებდნენ, რომ მათ მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო იძულებითი აქტი და რომ, როცა რუსეთში დამხობილ იქნება საბჭოთა ხელისუფლება და იქ დემოკრატია დამყარდება, ე. ი. დემოკრატიული „თავისუფლებებით" ნიღაბ აფარებული ბატონობა ბურჟუაზიისა, ისინი კვლავ დაბრუნდებიან რუსეთის წიაღში. ამ განცხადებებით ისინი ცხად ყოფდნენ თავიანთ ბურჟუაზიულ ბუნებას, მაგრამ ამასთან ერთად კვლავ ხაზს უსვამდნენ მსხვილი სამეურნეო და სახელმწიფოებრივ გაერთიანების შემადგენლობაში საქართველოს შესვლის უპირატესობას და აუცილებლობას.

6. რაკი ვეღარ მოისწრენ მუშურ გლეხური ხელისუფლების დამხობას რუსეთში, ისინი საბოლოოდ და უკანმოუბრუნებლად გადაბარგდნენ დასავლეთის იმპერიალისტების ბანაკში და ჩავარდნენ გამარჯვებული ანტანტის პოლიტიკურ და ეკონომიურ მონობაში. ამავე დროს ისინი პოლიტიკურად უფრო მჭიდროდ ერთიანდებოდნენ რუსეთის წინააღმდეგ მუსავატელთა აზერბეიჯანთან, დაშნაკურ სომხეთთან და მთიელ-დაღესტნის კონტრ რევოლუციონურ მთავრობასთან. კრავდნენ სამხედრო კონვენციებს და შეთანხმებებს, ერთდროულად ცდილობდნენ სამეურნეო გაერთიანებას ნავთით მდიდარ აზერბეიჯანთან. მართავდნენ კონფერენციებს მთელ კავკასიის ფედერალური გაერთიანებისათვის ანტანტის მფარველობის ქვეშ საბჭ. რუსეთის წინააღმდეგ. ასეთი ცდები უფრო გახშირდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მიუხედავად მენშევიკების შუამდგომლობისა ინგლისის გენერლების და მეფის წინაშე ინგლისის საოკუპაციო ჯარების აქ დატოვების შესახებ, ჯარები მაინც გაიყვანეს, სამხრეთისაკენ წითელი ლაშქრის ძლევამოსილი მსვლელობის გამო, იმ ლაშქრის, რომელმაც დაანარცხა და წინ გაირეკა დენიკინის ურდოები, ქართველ მენშევიკების მიერ შემდეგში ასეთ სტუმართმოყვარეობით მიღებულნი.

7. კავკასიის და მთელი ამიერ-კავკასიის საჭიროება მოასწავებს, რომ ეს დერეფანი, შემაერთებელი დასავლეთისა აღმოსავლეთთან, დერეფანი, საიდანაც განდევნილია როგორც იმპერიალიზმი, ისე იმპერიალიზმის ლაქიები, იქცა ანტანტის და მისი აგენტების გაძლიერებული ყურადღების და განსაკუთრებული ინტრიგის ცენტრად. მეორეს მხრივ, ამიერ კავკასიის გასაბჭოება ნიშნავს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ზიარებას მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისადმი, რომლის კერას რუსეთი წარმოადგენს.

სოციალისტური რევოლუცია უნდა იყოს სოლიდარული, რომ გაიმარჯვოს. საბჭოთა ქვეყნები, ამ ჟამად ბურჟუაზიული მსოფლიოსი გარშემორტყმულნი, მით უფრო უნდა იყვნენ შეთანხმებულ-შეკავშირებულნი, რომ დაუპირდაპირონ მუშებისა და გლეხების მტრების ბანაკს ერთობა დიქტატურის, მთლიანი სამხედრო და სამეურნეო ფრონტი.

8. ამიერ კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების (საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი) ძალთა გაერთიანებას გვიკარნახებს საქმეთა მთელი მსვლელობა, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო ურთიერთობათა თვალსაზრისით: გამოუკლებლივ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა ხასიათდება კაპიტალისტური ქვეყნების (ანტანტის ქვეყნების მეთაურობით) დაუფარავი მისწრაფებით მოსპონ საბჭოთა რეჟიმი—ეს მსოფლიო პროლეტარიატის და [illegible] აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების რევოლუციონური ენერგიის აღმძვრელი.

9. ამ ჟამად შიმშილთან დაკავშირებით უმთავრეს საბჭოთა რესპუბლიკაში—რუსეთში—წარმოებს ევროპაში თავმოყრილ ყველა კონტრ-რევოლუციონურ ელემენტების „ინტერნაციონალიზაცია". რუსეთის ყოფილ იმპერიის ყველა ეროვნებათა რეაქციონური ჯგუფები ერთიანდებიან მცირე ანტანტის გარშემო, რომელსაც პოლონეთი მეთაურობს; უკანასკნელი, საფრანგეთის ხელმძღვანელობით მობილიზაციას უწევს ყველა ძალებს რუსეთის წინააღმდეგ. ყველა საბუთები იმას მეტყველებენ, რომ გაზაფხულზე პოლონეთი და რუმინია, საფრანგეთის ხელმძღვანელობით—შეეცდებიან საბჭოთა რუსეთის საზღვრებში შემოსევას.

10. ამ მუშაობასთან ერთად საფრანგეთის დიპლომატია ეწეოდა და ეწევა ენერგიულ მუშაობას აღმოსავლეთის ქვეყნების ავანგარდის—ოსმალეთის მისაზიდად ანტი-საბჭოთა კავშირში. საფრანგეთის ცდა, რათა ანტოლიის ოსმალეთს რუსეთთან გაეწყვიტა კავშირი, რასაკვირველია, გამარჯვებით არ დამთავრებულა, მაგრამ იდუმალი მუშაობა, რომელსაც აწარმოებს საფრანგეთის რეაქცია მთელი თავისი ძალით და მოხერხებით, ეჭვს არ სტოვებს გამარჯვებულ სახელმწიფოთა განზრახვებში: გამოიყენოს ყოველგვარი კომბინაცია რესტავრაციისათვის კავკასიაში, თუნდაც თავის შეურიგებელ მტრის—ოსმალეთისადმი დათმობების ფასით.

11 წინანდელ მუხლში აღნიშნული გარემოებანი ახასიათებენ ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების დამოკიდებულებას. თუ კი მათ მივუმატებთ საბჭოთა რუსეთისაგან გაქცეულ რეაქციონურ და ნაციონალისტურ მთავრობების კავშირს, შეკრულს მათ მიერ პარიზში 1921 წ. 10 ივლისში, და ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდებას, 21 წ. 9 ნოემბრის თარიღით, ევროპის ხალხებისადმი საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების შესახებ საქართველოში,—სავსებით ცხადი გახდება ჩვენი მუშაობის გეზი უახლოეს მომავალში.

12. შინაგანი სამეურნეო ნგრევა და ორგანიზაციული გაურკვევლობა რესპუბლიკებში, აგრეთვე მუდმივი გაუგებრობანი, რომელნიც წარმოადგენენ გასაბჭოების წინანდელი ხანის ნაციონალისტურ დამოკიდებულებათა მემკვიდრეობას,—ამთავრებენ სურათს.

13. მრავალტომიანი ამიერკავკასია, მეურნეობის და სტრატეგიის მხრით, მთლიან ერთეულს წარმოადგენს. საერთო გეგმის გარეშე არავითარი სამეურნეო აღმშენებლობა, ჩვენი წესწყობილების არავითარი დაცვა აქ არ არის შესაძლებელი.

14. მაგრამ ძალ-ღონის გაერთიანების მოთხოვნილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩამოყალიბდეს ფორმებში, რომელნიც რამოდენიმედ მოაგონებენ ამიერ-კავკასიის ხალხების თანაცხოვრების ფორმებს მეფის და ამიერ-კავკასიის სეიმის დროს. ეს ძველი ფორმები დაუზოგველად უნდა იქნან გადასროლილნი.

15. გაერთიანების და თანაცხოვრების ახალი ძმურ ფორმების აბსოლიუტურ გარანტიას წარმოადგენს რესპუბლიკაში ხელისუფლების სათავეში კომუნისტური პარტიის ყოფნა.

16. გაერთიანება უნდა მოეწყოს საკავშირო ხელშეკრულების პრინციპზე, რომლის მიხედვით. რესპუბლიკების სრული დამოუკიდებლობის დატოვებით, იქნება საკავშირო ორგანო (საბჭო), რესპუბლიკები გადასცემენ მას გადასაწყვეტად იმ საკითხებს, რომლების გადაჭრა შეუძლებელია ცალკე თითეულ რესპუბლიკის მიერ (საკითხები სამხედრო, ფინანსიური, საგარეო პოლიტიკის, საგარეო ვაჭრობის, გზათა მიმოსვლის, ფოსტა-ტელეგრაფის და ზოგად ეკონომიური).

17. ამ მიზნით ეწყობა საერთო-საკავშირო მასშტაბის სათანადო ორგანოები.

18. ყველა დანარჩენ საკითხებში რესპუბლიკები სრულიად დამოუკიდებელნი არიან.

19. მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ ჩვენ უზრუნველვყოთ საბჭოთა სიმაგრე როგორც გარეშე, ისე შინაური კონტრ-რევოლუციონურ ძალებისაგან. ხოლო ისინი—ეს ძალები—ამ ჟამად ბლომად არიან.

20. ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური დროშის ქვეშ, ბრძოლის და სამეურნეო აღმშენებლობის გაერთიანებულ ფრონტზე საბჭოთა რესპუბლიკები: საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი შესძლებენ წინააღუდგნენ იმპერიალიზმის იერიშს, რომელიც იკაფავს გზას ამიერ-კავკასიის ყელით ბაქოს ნავთისაკენ და შემდეგ ჩრდილოეთით. მუშურ-გლეხური რესპუბლიკების მოსასპობად, და აზიაში—გამოღვიძებულ აღმოსავლეთისათვის ახალი ბორკილების დასადებად.

ს. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური და თბილისის კომიტეტი.

საბჭოთა არჩევნებისთვის

საქართველოს რევკომის, კომუნისტური პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტების პრეზიდიუმების სხდომაზე ნოემბრის 19-ს გადაწყვეტილ იქნა შევუდგეთ თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს არჩევნების სამზადისს და ამ მიზნით ამოირჩა სათანადო კომისია შემდგარი ქალაქის რევკომის, კომპარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტების, საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების საბჭოს, საქართველოსა და ცალკე კავკასიის არმიების წარმომადგენელთაგან. ამნაირად საფუძველი ჩაეყარა საერთო მუშაობის დასაწყისს, რომელმაც უნდა მოჰფინოს ჩვენი ქვეყანა მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოებით.

მშრომელთა თვითმოქმედების, მისი რევოლუციონური ენერგიისა და ძალაუფლების ეს დაწესებულება ახალი არ არის ქართველი და კერძოთ თბილისის მუშათა მასებისათვის. მათ იცნობენ ისინი პირველი რევოლუციის დროიდან, რუსეთის მეორე რევოლუციის გავლენით საბჭოები შეიქნენ რევოლუციონური ხალხის უნივერსალურ ორგანოებათ და ეს არა მარტო ჩვენში, იმ ქვეყანაში, რომელიც უშუალოთ განიცდიდა რევოლუციის მძლავრ სუნთქვის გავლენას და თითონაც იბრძოდა დასაწყისში მის გმირულ ლაშქართა პირველ რიგებში, არამედ იმ სახელმწიფოებშიაც, რომლებიც ბურჟუაზიულ ტრადიციული საზღვრებით მოწყვეტილი არიან რუსეთისაგან. მაგრამ რა განსხვავებაა ამ საბჭოთა შორის, რომლებიც პოლიტიკურათ თანდათან კვდებოდნენ და მოკვდნენ მენშევიკების დროს და მათ შორის, რომლის ამორჩევა გადაწყვეტილია ახლო მომავალში ჩვენ ქალაქში და შემდეგ მთელ საქართველოში. მშრომელთა საბჭოები ასრულებენ თავის ისტორიულ დანიშნულებას, ისინი ცხოველმყოფელნი არიან და ხდებიან მიმდინარე დიდი ბრძოლის აქტიურ ფაქტორებათ მხოლოდ როგორც კლასობრივათ დამოუკიდებელნი, მოწინააღმდეგეებთან შეურიგებელნი, სრული თვითმპყრობელნი სახელმწიფოს ძალა-უფლების, მისი ადგილობრივი ორგანოების, ერთი სიტყვით როგორც ორგანოები მშრომელთა დიქტატურის. ასეთები შეიქმნენ ისინი განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის წინა დღეებში, როდესაც ერთიანათ გაუსხლტენ წვრილ ბურჟუაზიული, შეთანხმებულთა პარტიების გავლენას და ასეთები შეიქნენ განსაკუთრებით დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რომლითაც მათ ხელთ იგდეს სახელმწიფო ხელისუფლება. მშრომელთა ძალაუფლების რევოლუციონური გამომხატველები არიან ისინი დღესაც იქ. ხოლო ასეთი არ იყვნენ ის საბჭოები, რომელთა ტიპს იცნობს ქართველი მუშა მენშევიკების ბატონობის დროს, ესე იგი მაშინ, როდესაც მთელი გავლენა ამ საბჭოებში დაპყრობილი ჰქონდა ამ პარტიას. ნაციონალური ბურჟუაზიული სახელმწიფოს აშენება, მთელი თავისი შემოქმედების ამ საერთო მისწრაფებით გაჟღენთვა და ამავე მიზნით, მსოფლიოში ორ მებრძოლ ძალთა შორის იმაზე დაყრდნობა, რომელიც ინტერესების ხაზზე იდგა ეს მისწრაფება—ასეთი იყო საქართველოს მენშევიკური პარტიის მოღვაწეობა. მათ უარჰყვეს ბრძოლა რევოლუციონური, რადგან უღალატეს თვით მიზანს სოციალისტური რევოლუციისას. ხოლო ორ დიდ ბანაკთა შორის მიმდინარე დაუნდობელი ომის პირობებში ეს ნიშნავდა გამოთიშვას რევოლუციონური არმიისაგან და იმპერიალისტური რაზმებისადმი მიკედლებას. ეს საერთო შინაარსი უნდა შეეტანათ მათ საბჭოთა მოღვაწეობაშიც და რამდენადაც ეს უკანასკნელები სადმე კიდევ ბოგინობდნენ მენშევიკების დიქტატურის დროს, ისინი შეიქნენ ბურჟუაზიის მაჩანჩალათ შინა და იმპერიალისტების სათამაშო საგნად გარედან. კერძოთ თფილისის საბჭო გახდა მენშევიკების რევოლუციისადმი ღალატისა და ამ პარტიის ბურჟუაზიულ ნაციონალისტური პოლიტიკის შირმათ, რომლითაც ის უკანასკნელ წუთებამდე მოხერხებულათ სარგებლობდა თავის კონტრ-რევოლუციონური მოღვაწეობის ამ „მუშათა დაწესებულების" „ავტორიტეტით" შესაფერადებლათ. ქვეყანაში, სადაც ფაქტიური ძალაუფლება სახელმწიფოსი ემსახურებოდა ბურჟუაზიის დიქტატურის დამყარების საქმეს, ბუნებრივია მუშათა საბჭო—ფორმალურათ: რამდენადაც ის შესდგებოდა მენშევიკური კავშირების ბიუროკრატიულ ელემენტებისაგან—უნდა შექმნილიყო მუშათა კლასის მოსისხლე მტრების დამხმარე, პოლიტიკურათ უხასიათო ორგანოთ. ამას ხელს უწყობდა არა მარტო ფაქტი რუსეთის რევოლუციისაგან გამოთიშვის და ჩვენში ამ რევოლუციის მიზნების გაბრუნდების, არამედ როგორც ვთქვით თვით შემადგენლობა მენშევიკური საბჭოსი.

ბუნებრივია, რომ სულ სხვაგვარი დაწესებულება იქნება, როგორც შემადგენლობით, ისე თავის დანიშნულებითა და მიზნით ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა მომავალი საბჭო. რევოლუციონური მუშათა წრეებიდან გამოსული, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირობებში საქართველოში, მის დედა ქალაქში, ის შეიქნება ჩვენი ქვეყნის საბჭოთა რეჟიმის, მის მშრომელთა დიქტატურის პირველ ციხე-სიმაგრეთ. ასეთივე სიმაგრეებით მოეფინება ახლო მომავალში მთელი ჩვენი ქვეყანა და ეს დაწესებულებები შესცვლიან ადგილობრივ რევკომების სისტემას, რომლებიც თავიდანვე გამოცხადებული იყვნენ საბჭოთა რეჟიმზე გარდამავალი ხანის ინსტიტუტებათ. ჩვენ სინამდვილეს ევლინება ნამდვილი ბატონ-პატრონი ჩვენი ქვეყნის და მან უნდა განაგრძოს რევოლუციონური წესრიგის განმტკიცება და სამეურნეო აღმშენებლობა, რომლებზედაც ზრუნვა რევოლუციონური ძალაუფლების გამოცხადების პირობებში და დღემდე დაკისრებული ჰქონდა რევოლუციონურ კომიტეტებს. მუშათა გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოები, ჩვენი ქვეყნის, მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, შექმნიან განუწყვეტელ ციხე სიმაგრეთა ხაზს, რომლებზედაც კისერს მოიტეხენ საბჭოთა ფედერაციისა და სოციალისტური რევოლუციის იმპერიალისტური მტრები და მათ კალთებ ქვეშ ამოფარებული მენშევიკური ავანტიურისტები.

სამაზრო რევკომების ყრილობა

მოთავებულია საბჭოთა საქართველოს ყველა წარმოებითი კავშირების ყრილობები. შედგა სახალხო მეურნეობის საბჭოთა ყრილობაც. ქვეყნის ეკონომიური სინამდვილის სურათი დახატულია დაწვრილებით, გათვალისწინებულია მისი მტკივანი ადგილები, გამონახულია გაჯანსაღების ზომები და შეღავათები. ეკონომიური, სამეურნეო აღმშენებლობა ნორმალურ კალაპოტშია ჩამდგარი, სწორი მიმართულებით სწარმოებს.

მაგრამ ეს აღმშენებლობა მჭიდროთ არის დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკურ წყობილებასთან, საბჭოთა აღმშენებლობასთან. საძირკველი და ზედნაშენი ერთმანეთთან შეფარდებული უნდა იყოს, რათა მთელი შენობა მტკიცე და ურყევი დარჩეს. საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ფორმა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა: დროებითი ხასიათის რევოლუციონური ორგანოები ახორციელებენ უზენაეს ხელისუფლებას, რევკომების სისტემა ჯერ არ შეცვლილა საბჭოთა სისტემით. მით უფრო დიდ მნიშვნელოვანი ხდება რევკომების ყრილობა, ადგილობრივი ხელისუფლების ნამოქმედარის გათვალისწინება და შეფასება.

და ეს ყრილობა გაიხსნა კიდეც 21 ნოემბერს სასახლის თეთრ დარბაზში. იქ, სადაც რამდენიმე წლის წინეთ მეფის „ნამესტნიკის" მოხელეები ისხდნენ და ხალხის გასაძარცვად საშუალებების ძებნაში იყვნენ, სადაც შემდეგ მენშევიკ მუსავატ-დაშნაკელებმა რეაქციონური ბუნაგი გაიჩინეს, ხოლო დაბოლოს ქართული ნაციონალიზმის პარლამენტი და დამფუძნებელი კრება მენშევიკების წინამძღოლობით მუშურ-გლეხურ დიქტატურას ებრძოდნენ, იქ გაიხსნა ყრილობა საბჭოთა საქართველოს სამაზრო რევკომების.

რა აქვს გასაკეთებელი ამ ყრილობას?

გარდამავალი დროის რევოლუციონური ორგანოების-რევკომების—დანიშნულებაა ყოველ-მხრივათ ნიადაგი შეუმზადონ მშრომელთა დიქტატურის ნორმალურ ფორმას, საბჭოთა ხელისუფლებას, შექმნან ადგილებზე ისეთი პირობები—პოლიტიკური და ეკონომიური—რომ მშრომელთა დიქტატურას არავინ და არაფერი ემუქრებოდეს, შინაური მტრები ჩამოცილებული იყვნენ სახალხო საქმიდან და თვით მშრომელ ხალხს თავისუფალი სარბიელი ჰქონდეს თავისუფალი შრომის, აღმშენებლობის და შემოქმედების.

რამდენათ შესრულებულია ასეთი მუშაობა ადგილობრივათ? რამდენათ განმტკიცებულია რევოლუციონური წესწყობილება? როგორ სწარმოებს მიწის საკითხის გადაჭრა? რა მდგომარეობაშია მექრთამეობასთან ბრძოლა? რა სურათი იშლება სახალხო განათლების, ჯანმრთელობის საქმეში? როგორ მიმდინარეობს სასურსათო გადასახადის აკრეფა?

ყველა ამ საკითხებს ყრილობა გასცემს ჯეროვან პასუხს, ის მოურიდებლათ კრიტიკის ნესტარით მიუდგება ჩვენი სინამდვილის მტკივან ადგილებს, აღნუსხავს ცენტრის შეცდომა-უყურადღებობას ადგილებისადმი და გამონახავს სწორ გზას შემდეგი მუშაობისა და აღმშენებლობისას.

ყრილობის მუშაობას უეჭველი სასარგებლო შედეგები ექნება დღევანდელი დღისათვის. მაგრამ მის მუშაობას ექნება ცხოველმყოფელი მნიშვნელობა ახლო მომავლისათვის: ღირსება—ნაკლულევანების აღნიშვნით ყრილობა ნიადაგს შეუმზადებს საბჭოების არჩევნებს, რის შემდეგ რევკომები ადგილს დაუთმობენ მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოებს.

და იქ, სადაც დღეს რევკომების ყრილობა ჯამს უკეთებს 8 თვის მუშაობის შედეგებს, სადაც სწარმოებს თვით კრიტიკა და სწორი გზის ძიება, იქ სულ მოკლე ხანის განმავლობაში ჩვენ ვიხილავთ საქართველოს საბჭოთა ყრილობას, რაც მაჩვენებელი იქნება მშრომელთა ძალაუფლების საბოლოოდ ჩამოყალიბების და სოციალიზმისაკენ მტკიცე ნაბიჯით გაწევის.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო.

მდგომარეობა ზუგდიდის მაზრაში.

(საქ. რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობა).

ზუგდიდის მაზრის მცხოვრებთა სასურსათო მდგომარეობა მეტად ცუდია. მოსავალს გლახა პირი უჩანს. სექტემბრის და ოქტომბრის განუწყვეტელმა წვიმებმა და სიცივემ, გაზაფხულის გვალვების გამო გვიან დათესილი ყანები ძლიერ დააზიანა, მომავალ წელში მოსალოდნელია შიმშილი თუ დროზე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები. ვენახები კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ცუდმა ამინდმა ისიც ძლიერ დააზიანა.

ხალხის სულიერი განწყობილება შედარებით კარგია, საჭიროა ოჯახის პირველ საჭირო საგნების ტანსაცმელ-ფეხსაცმლების და უპირველესად ყოვლისა მარილის მიწოდება. მცხოვრებთა დამოკიდებულება მთავრობისადმი კეთილია. თუ ყურადღებას არ მოვაქცევთ ზოგიერთ პირების უშედეგო უკმაყოფილებას არსებულ წესწყობილებით.

ცენტრალურ ორგანოების მუშაობა მოწესრიგებულია. გახსნილია ყველგან სახალხო სასამართლოები, რომელთაც დიდი სიხარულით შეეგება ხალხი.

სწავლა-განათლების საქმე კარგად ვერ არის დაყენებული: შენობები დაზიანებულია და მრავალი მათგანი მოითხოვენ კაპიტალურ შეკეთებას.

პროპაგანდა ეწყობა ყოველ კვირაობით როგორც ქალაქში, აგრეთვე სოფლებში.

მიწის კომიტეტი შეძლებისა და გვარად განაგრძობს მუშაობას. გლეხების დამოკიდებულება კომიტეტსა და საერთოთ [illegible] ირგვლივ შემდგარ კომისიისადმი კეთილია.

ზუგდიდის რევკომის მუშაობა.

[illegible] მცხოვრებთათვის. ზუგდიდის რევკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს წინაშე, რათა მიეცეს მას ერთი ცისტერნი ნავთი ქვალონის საზოგადოებისათვის.

— რევკომმა ამავე სხდომაზე დააკმაყოფილა ქვალონის რევკომის შუამდგომლობა [illegible] მცხოვ-

რებთათვის შეშისა და საჭირო ხე-ტყის მასალის უფასოდ მიცემის შესახებ.

— რადგანაც ზუგდიდის მაზრის შუა ნაწილის მცხოვრებლები მეტისმეტად საჭიროებენ საშეშე და საშენებელ მასალას, და რადგანაც მთავარი მასიური ტყეები მათზე დაშორებულია, რევკომმა დაადგინა: მიეცეს უფლება ადგილობრივ მცხოვრებლებს ისარგებლონ მათზე ახლო მდებარე პატარა სატყეო მიწის ნაკვეთებით. დაწესდეს კონტროლი მოსაჭრელ ხეების წესიერად და მიზანშეწონილად გამოყენებაზე. კონტროლი დაეკისროს სათემო ადგილების გამგეს. ამასვე დაევალა გასცეს ნებართვები გაჭირვებულ და ღარიბ მცხოვრებლებზე, თანახმად სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების და ადგილობრივ რევკომების მიერ გაცემულ მოწმობებისა. ადგილობრივ რევკომებს უფლება აქვთ ტყეების დაცვა.

წისქვილების ჩამორთმევა.

რევკომმა დაადგინა: ქვალონის საზოგადოებაში მდებარე ორი მატორიანი წისქვილი, რომელიც ეკუთვნის კერძო პირებს, ჩამოერთვას მათ და გადაეცეს საზოგადოებას.

თანამდებობაზე დანიშვნა.

თანახმად ზუგდიდის რევკომის დადგენილებისა, დამტკიცებულ იქნეს პოლიტიკური განყოფილების კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ს. ცხაკაია და წევრები: ნიკოლოზ ქურულარია და გრიგოლ შელია; განათლების განყოფილების კოლეგია: თავმჯდომარეთ გრ. როლიხაია, მის მოადგილედ ბ. უგულავა, მიხა პატარაია, ც. ცხაკაია, პ. ხადიაძე და ნ. ბუკია; წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისარის სამეული: მიხეილ კაკულია, ი. ჭოფაძე და ბ. ცაგურია.

— შრომის ინსპექტორი როგავა გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან და მის მაგიერ დაინიშნა კ. ქურულარია.

— სოც. უზრუნველყოფის განყოფილების კოლეგიის მესამე წევრად დაინიშნა გიორგი ალშიბაია.

— რევკომმა დაამტკიცა ახალ ხიმულის სასამართლოს თანამშრომლებათ ე. ლუცკაია—მდივნად, პ. ჯიშკარიანი—სასამართლოს აღმასრულებლად, ი. ჯიქია—მდივნის თანაშემწეთ. ლიდა მგალობლიშვილი—რეგისტრატორად, ვ. როგავა—გადამწერათ, პ. ლაზბია—მეპაკეტეთ, ლ. გოგია—გზირათ და ე. გოგია იასაულად.

მიწების გადაცემა.

რევკომის დადგენილებით ქალაქში მდებარე საზოგადო კუთვნილების მიწები გარდა ბოტანიკურ ბაღისა გადაეცა რევკომის კომუნალურ განყოფილებას.

გადასახადების დაწესება.

რევკომმა დაადგინა დაწესდეს გადასახადი საბჭოთა სადალაქოში, აბანოში, სასწორზე, სასაკლაოში და ქრაქერის სახელოსნოში.

გზების შეკეთება.

რევკომმა წინადადება მისცა მაზრის მილიციის უფროსს, რათა მან აიძულოს ცაიშის, ხეთის, ხობის და დიდინეძის თემები მოახდინონ კაპიტალური შეკეთება სენაკის გზის ხობის ხიდამდე და დიდინეძის გზატკეცილი.

ბათუმში.

ბათომიდან ნოემბრის 18 დეპეშით გვატყობინებენ: ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ ბათომში დაადგინა გადაეცეს მეორე ქალაქის საავადმყოფო „ბურის" გამგებლობაში სამხედრო ჰოსპიტალად. იმ პირობით, რომ მოქალაქე მცხოვრებთ ასი საწოლი მიეცემათ.

— ნოემბრის 28-დან პროფკავშირთა საბჭო მოაწყობს „პროფტექნიკურ განათლების კვირას", რომლის მიზანია პროფესიონალური განათლების პოპულარიზაცია და ფულის შეგროვება პროფესიონალური განათლების სკოლების და კურსების გასახსნელად.

— აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარად დაინიშნა განათლების სახალხო კომისარიატის პროფესიონალურ ტექნიკურ სექციის გამგე იქახიძე [illegible], ახლახან ამერიკიდან დაბრუნებული, სადაც იგი 15 წელიწადი ცხოვრობდა.

— პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ჩეკანინი მიემგზავრება ტფილისში საცხოვრებელ მასალის საკითხის გამორკვევის მიზნით და აჭარისტანის მუშების მომარაგებისთვის.

აფხაზეთი

ნიაღვარი.

მთებში თოვლის დნობის გამო, წყალმა მდინ. გუმისტაში და კოდორში აიწია ორი არშინით, რაც არ მომხდარა 20 წლის განმავლობაში, ნიაღვარმა მთლად დაანგრია [illegible]: წაიღო ხიდები, წალეკა შარაგზა, დაანგრია რკინის გზა. მიღებულია ზომები დანგრეულების საჩქაროდ აღსადგენად.

იჯარა ჯიხურებისაგან.

შინაგან საქმეთა კომისარიატის ბრძანებით დაწესებულია ბაზარში ჯიხურებზე იჯარა: [illegible] იჯარა—100 ათას მანეთი თვეში, მაგიდაზე, სადაც [illegible] 2 არშინზე, და 150 ათას მ. 2 არშინიდან 3 არშინამდე მაგიდაზე. დახურულ მაგიდაზე [illegible] მეტი, ის პირები, რომლებიც ვაჭრობენ საწვრილმანოდ და საქაჩლებით [illegible] 45 ათას მანეთა თვეში.

სტიპენდიანტი სტუდენტები.

აფხაზეთის რევკომმა დაადგინა გადიდდეს სახელმწიფო ხარჯით გასაგზავნ სტიპენდიანტ-სტუდენტთა რიცხვი 100 მდე.

რუსეთი

რუსეთის ელექტროფიკაცია.

მოსკოვი, 22 ნოემბერი. (რადიო). სტოკჰოლმის რუსეთის დელეგაციის ელექტრო-ტექნიკურ განყოფილების გამგემ კრასინმა შვედეთის მრეწველობის მრავალ რიცხოვან წარმომადგენლების წინაშე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „რუსეთის ელექტროფიკაცია". მოხსენებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, სტოკჰოლმის პრესა მას დიდ ყურადღებას აქცევს.

ცდა უნაყოფოდ არ ჩატარდა.

მოსკოვი, 22 ნოემბერი. (რადიო). სათბობი მასალის დამზადება პეტროგრადში წარმატებით მიმდინარეობს. სათბობი მასალის საერთო რიცხვი 7 თვის განმავლობაში გაიზარდა 3-ჯერ. სექტემბრის განმავლობაში პეტროგრადში დაიწყო მუშაობა მთელ რიგმა წარმოებებმა, რომლებიც არ მოქმედებდნენ სათბობი მასალის უქონლობის გამო. მიუხედავათ ამისა სათბობი მასალის მარაგი გაიზარდა მილიონ ნახევარი ფუთით.

კაპიტალიზმის სამეფოში

გერმანია

გერმანელი მუშების მოთხოვნილება.

ნაუენი, 19 ნოემბ. (რადიო). გერმანიის ფინანსიურ მეურნეობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, მიღებულია დაწვრილებითი ცნობები მთელი გერმანიის პროფესიონალურ კავშირების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებების, გერმანიის მუშებმა წაუყენეს მთავრობას შემდეგი მოთხოვნილებები: 1) სახელმწიფომ მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა საწარმოო წარმოებებსა და ამხანაგობებში, რომლებიც ვალდებული არიან უსასყიდლოთ გადასცეს მას თავის საბრუნებელი კაპიტალი 25 პროცენტი. წვრილი წარმოებები და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები რჩება ამ ზომების გარეშე. მაგრამ ვალდებულია შეიტანოს ხაზინაში სათანადო გადასახადი; 2) სახელმწიფო გადასახადების გადიდების მიზნით უნდა მოხდეს ნახშირის მადაროების ნაციონალიზაცია და წარმოების გაძლიერება; უნდა მოხდეს ყველა სამრეწველო წარმოების რეორგანიზაცია და შრომების გვარად გატარდეს მათი კონცენტრაცია, რომ შემდეგში შემსუბუქდეს სოციალიზაციის განხორციელება; 4) სახელმწიფო ხასიათის მიმოსვლათა საშუალების (რკინის გზების) კერძო საკუთრების უფლება უნდა მოისპოს; 5) უნდა აიკრძალოს მთელ საზღვარგარეთულ ვალიუტის ხელშეკრულება. მთავრობის დაწესებულებებმა უნდა დაიცვას საქონლის გატანის დროს; 6) საქონლის შემოტანა უკიდურესად უნდა შეიზღუდოს; 7) გადასახადები ექსპორტზე უნდა გადიდდეს; 8) კაპიტალის დაგროვება სახელმწიფო სამრეწველო წარმოებების გასაძლიერებლად უნდა გაძლიერდეს; 9) კანონით დაწესებული გადასახადები უნდა შეგროვდეს დაუყონებლივ; 10) საბირჟო ოპერაციებს უნდა დაედვას მაღალი გადასახადი; 11) დაუყონებლივ უნდა დაწესდეს კონტროლი კერძო გამგეობების მთელ მონოპოლიაზე. პროფესიონალურ კავშირების საბჭომ გამოაქვეყნა ეს მოთხოვნილებები განსაკუთრებულ მოწოდებაში, რომელშიაც ის წინადადებას აძლევს მუშებს ყოველი ღონისძიებით ხელი შეუწყონ ამ მინიმალურ მოთხოვნილებების ცხოვრებაში გატარებას. პროფესიონალურ კავშირების საბჭოს მოწოდებამ გამოიწვია შიში მწარმოებელთა შორის. „გერმანიის საზოგადო გაზეთი" აცხადებს, რომ მწარმოებლებს არ შეუძლიათ მოლაპარაკება აწარმოონ, როდესაც წამოყენებულია ასეთი პირობები.

ბერლინი.

ნაუენი. 21 ნოემბერი. (რადიო). რეიხსტაგის კომუნისტ დეპუტატებმა წააყენეს იუსტიციის მინისტრის მოთხოვნილება, რომ განთავისუფლებულ იქნენ კომუნისტები, რომლებსაც გადაუწყვიტეს დატუსაღება მარტის ამბების გამო, მუშრავლესი სოციალისტთა მინისტრმა განაცხადა, რომ ის ვერ მისცემს თავის თავს უფლებას განთავისუფლოს ის კომუნისტები, რომლებიც უნდა დაისაჯონ თავის „გმირული სისულელისათვის". ამ სიტყვებით აღშფოთებულმა კომუნისტებმა მოახდინეს ობსტრუქცია და არ აძლევდნენ მინისტრს ლაპარაკის საშუალებას. მინისტრი სოციალისტი ცდილობდა თავის ხმით დაეფარა ხმაურობა და გაიძახოდა, რომ მაზე ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს დეპუტატების საქციელი და არ დაუთმობს ის დატუსაღებულების შიმშილობის გამოცხადებას. აუწერელმა ხმაურობამ და უწესრიგობამ რეიხსტაგში იმდენად ძლიერი ხასიათი მიიღო, რომ თავმჯდომარე დაემუქრა დეპუტატებს სხდომის დახურვით. მინისტრმა შედარებით სიწყნარეში დაათავა თავისი სიტყვა და სხვათა შორის თქვა, რომ სანამ უკიდურესი მემარცხენეები არ მიატოვებენ ძალადობის გზას, სახელმწიფოს ხელისუფლებას არ შეუძლია უარი თქვას დასჯის სისტემაზე.

უწესრიგობა მოხდა აგრეთვე პრუსიის ლანდტაგში, იმავე მიზეზის გამო. ლანდტაგის კომუნისტმა წევრმა გამოგლიჯა თავმჯდომარეს ზარი. სოც.-დემოკრატები დაემუქრნენ კომუნისტებს. საქმე მივიდა ხელით შეტაკებამდე სოც.-დემოკრატებს და კომუნისტებს შორის. ამ დროს ზალის ქანდარებზე მყოფ ხალხიდან კომუნისტები ხმაურობით მხარს უჭერდნენ კომუნისტ დეპუტატებს. კომუნისტები მქუხარე ტაშისცემით იძახდნენ: გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, გაუმარჯოს მოსკოვს. უწესრიგობის და მთავრობის საწინააღმდეგო აშკარა დემონსტრაციის შესაჩერებლათ თავმჯდომარემ სხდომა დახურა.

შიმშილი გერმანიაში.

პეტროგრადი. 17 ნოემბერი. (ტელეგ.). გერმანიიდან მიღებული ცნობებით იქ გაზაფხულისათვის მოელიან შიმშილს. პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასები ძალიან გაიზარდა, გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა მეტად მძიმეა. ჩვეულებრივი ბიუჯეტი 1922 წლისთვის მოელის 5 მილიარდ მარკა დეფიციტს.

ამერიკა

ბრძოლა უმუშევრობასთან.

ნაუენი. 21 ნოემ. (რადიო). ამერიკის გაერთიანებულ მუშათა კავშირის თავმჯდომარემ გომპერსმა მიმართა მუშათა ყრილობას ჟენევაში თხოვნით, რომ იმსჯელონ და გამოიტანონ განსაზღვრული დადგენილება უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის შესახებ. თავის მხრივ ჟენევის მუშათა ყრილობამ მიმართა ამერიკელ მუშათა კავშირებს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ჟენევაში და ერთად იმსჯელონ ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. საფრანგეთის მუშების წარმომადგენელმა ყრილობაზე უმუშევრობის გამო აღნიშნა, რომ უმუშევრობა შედეგია მოთხოვნილების მეტის-მეტად შემცირების და მყიდველთა რიცხვის შემცირებისა. ეს განსაკუთრებით ეხება ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც, მიუხედავად სიმდიდრის საერთო გაძლიერებისა და ოქროს მნიშვნელოვანი მარაგისა, ითვლება 7 მილიონამდე უმუშევარი. პატარა იტალიაში უმუშევართა რიცხვი 473,000 კაცამდე აღწევს, მათ შორის 94,000 დედაკაცია.

საფრანგეთი

ვაშინგტონის კონფერენციაზე.

ბორდო. 18 ნოემბ. (რადიო). 20 ნოემბერს ვაშინგტონის კონფერენციაზე ბრიანმა უნდა გააკეთოს მოხსენება გაიარაღებისა და საფრანგეთის გერმანიასთან დამოკიდებულების შესახებ. ამერიკის პრესა გამოსთქვამს თავის წინასწარ მოსაზრებას, რომ ბრიანი აღნიშნავს საზღვაო და ხმელეთის სალაშქრო სისტემის დაცვის საჭიროებას, ვინაიდან მოსალოდნელია, ამ ქვეყნად თუ არა ახლო მომავალში მაინც გერმანიის ომი. რადგანაც საფრანგეთმა უნდა დაიცვას თავის ხელოვნური საზღვრები, ამიტომ მისთვის საჭიროა ჯარის მნიშვნელოვანი რიცხვი. ამ ცნობების გამო, ბრიანი მოითხოვს ვაშინგტონის კონფერენციიდან, რომ საფრანგეთისათვის აუცილებელია დიდი ჯარის ყოლა. საზოგადოთ ბრიანი ცდილობს აიღოს თავის თავზე მშვიდობის გამტარებლის როლი განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში, სადაც საფრანგეთი ეთანხმება იაპონიის და ჩინეთის თავის სავაჭრო დამოკიდებულებების განსავითარებლათ. 25 ნოემბერს ბრიანი ამერიკიდან გაემგზავრება საფრანგეთში.

საფრანგეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების გარშემო.

ნაუენი 20 ნოემბერი (რადიო). საფრანგეთი თავის პასუხში საფრანგეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების საწინააღმდეგო ინგლისის ნოტის საპასუხოთ, აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა შეძლო გარანტია მიეღო ოსმალეთის ნაციონალისტებიდან უმცირესობების უფლებების დაცვისათვის, რაც ამდენი ხანს მოკავშირეებმა ვერ მოახერხეს.

ქრონიკა

◆ **სასწორები ბაზრებზე.** თბილისის ქალაქის რევკომის კომუნალურ განყოფილების კოლეგიამ დაადგინა აიღოს სამშენებლო—სანიტარო—სატექნიკო ქვეგანყოფილების გამგებლობაში სასწორები ყველა ბაზრებზე: სალდათის ბაზარზე, დე სიმონისა და მალაკანის მოედნებზე, თათრის მოედანზე და დეზერტირის ბაზარზე. ამასთანავე დაწესდეს 1.000 მანეთი გადასახადი ყოველ ფუთ საქონლის აწონვაში ქალაქის სასწორებზე და სოფლელების მოტყუების ასაცილებლად აკრძალეს მათ მიერ ქალაქში ჩამოტანილ საქონლის აწონვა კერძო დუქნებში.

◆ **საბიბლიოთეკო კურსები.** განათლების სახალხო კომისარიატის პოლიტიკურ განათლების მთავარი მმართველობა ხსნის საბიბლიოთეკო კურსებს ნოემბრის 22-ს საღამოს 5 საათზე პუშკინის საქალაქო სამკითხველოს შენობაში. კურსები სამთვიანია და მიზნად აქვთ სასამკითხველო საქმის მცოდნე პირების მომზადება. კურსებზე ჩაეწერნენ თბილისის მოქალაქეთაგან 2, პროვინციებს საერთო-საცხოვრებელში ბინის უქონლობის გამო მიეცათ მხოლოდ 10 ადგილი.

◆ **ვოლგის სანაპიროს ბავშვები საქართველოში.** დამშეულ ვოლგის სანაპიროდან თბილისში ჩამოსული 400 ბავშვი გაგზავნილია ბათომში. საქართველოში მოელიან ვოლგის დამშეულ რაიონებიდან 1500 ბავშვის ჩამოსვლას, რომლებიც განზრახულია მოათავსონ მანგლისში და სხვა ადგილებში. ამ ბავშვებისათვის ბინის გამონახვისთანავე დეპეშით შეტყობინებულ იქნება საქართველოში ბავშვების გამოგზავნის შესახებ.

◆ **მილიციაში.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა დაამტკიცა მილიციის მთავარ სამმართველოს მიერ წარდგენილი დებულება რესპუბლიკის მილიციის ადმინისტრატიულ—პოლიტიკურ შემადგენლობის პირთა აღრიცხვის წესის შესახებ.

◆ **ნატურალ-გადასახადის აკრეფა.** მომარაგების სახალხო კომისარიატის თხოვნით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ცირკულიარულად წინადადება მისცა სამაზრო რევკომებს, რათა აღმოუჩინონ სრული დახმარება მომარაგების სახალხო კომისარიატის სრულუფლებიან [illegible] აგენტებს და სამაზრო სასურსათო კომიტეტებს, რომლებიც შეუდგნენ ნატურალურ გადასახადის აკრეფას.

◆ **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე".** გამოვიდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე" № 20. ზომით 32 გვერდი, ოფიციალურ და არაოფიციალურ ნაწილებით. „მოამბის" ამ ნომრიდან დაწყებული ყოველ ნომერში მოთავსებულ იქნება ყველა სამაზრო რევკომების მოქმედების მიმოხილვა და სათანადო მაზრების მდგომარეობა. ამ ნომერში მოთავსებულია თიანეთის სამაზრო რევკომის მოქმედების მიმოხილვა და თიანეთის მაზრის მდგომარეობა; შემდეგ მოთავსებულ იქნება სიღნაღის, დუშეთის და სხვა მაზრების მიმოხილვანი „მოამბე", რომელიც აქნობამდე გამოდიოდა თვეში ორჯერ, ახლა, ტექნიკურ შეფერხებათა თავიდან აცილებით, სისტემატიურად გამოვა ყოველკვირეულად ზომით 16—32 გვერდამდე.

◆ **მცირეწლოვანთა სასამართლო საქმეთა განხილვა.** თბილისის ქალაქის რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობების მიხედვით შესახებ მცირეწლოვანთა საქმეების კომიტეტის მოქმედებისა, კომისიამ გასულ ოქტომბრის თვის განმავლობაში შეიტანა 133 საქმე მცირეწლოვანთა დანაშაულობის შესახებ. ამ საქმეებიდან კომისიამ გაარჩია 61 საქმე 56 ყმაწვილის და 5 ქალის დანაშაულობისა. ბრალდებულთაგან 18 ბავშვი განთავისუფლებულ იქნა ბრალდების უქონლობის დაუმტკიცებლობის გამო და მათი საქმეებიც მოისპობილია. ერთი გაგზავნილია მორალურ—დეფექტიურ ბავშვთათვის საზრუნველო სახლში, პლეხანოვის პროსპექტზე № 166. ოთხიც გაგზავნილია ამგვარივე თავშესაფარში პრიუტებში სოფ. ზემო-ავჭალაში, 4 სამშობლოში და დანარჩენიც ჩაბარდნენ მშობლებს პასუხისმგებელ ზედამხედველობის ქვეშ.

◆ **თბილისის განტვირთვა.** საუწყებათაშორისო ცენტრალურმა კომისიამ ქალ. თბილისის განსატვირთავად, შეადგინა ეშელონების ცხრილი ყველა მიმართულებით იმ პირთა გასაგზავნათ, რომლებსაც ეხება ქალაქიდან გადასახლება, ზოგ მიმართულებით ეშელონები უკვე გაიგზავნა. ტექნიკური განტვირთვა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ საევაკუაციო აპარატის საშუალებით, უშუალო ხელმძღვანელობის, კონტროლის და ზედამხედველობის ქვეშ ქალაქის განტვირთვის სარაიონო კომისიებისა, რომლებიც შესდგებიან ს. პ. კ. ს. კომპარტიისა და მუშაგლეხთა ინსპექციის წარმომადგენლებისაგან.

◆ **საქართველოს საზღვაო-სატრანსპორტო სამართველოში.** საქართ. საზღვაო-ტრანსპორტის მთავარ სამართველოს უფროსი ინჟ. ს. ს. ათაევი და მთავარ სამართველოს მედიკო-სანიტარულ ნაწილის გამგე ექიმი ი. მამულია გაემგზავრნენ ბათომ—ფოთის სანაპიროზე ნავთსადგურების დასათვალიერებლად.

◆ **უცხო ვალიუტის კურსი.** თბილისში ნოემბრის 17 (ათას მანეთებში). სტერლინგი—460, საფრანგეთის ფრანკი—8,7; იტალიის ლირა—4,5; ოსმალეთის ქაღალ. ლირა—74-75; ოქრო (10 მან)—540-550; ოქრო (ლირა)—480-490; დოლარები—125; გერმან. მარკები—0,75.

— **გადამდებ სნეულებათა მოძრაობა თბილისში.** ქალაქის 3 საავადმყოფოში ოქტომბრის პირველისთვის 118 გადამდებიანი ავადმყოფი იწვა, მათ შორის ავადმყოფები: სახადით: წინწკლიანი—7; მუცლის—65 და შებრუნებითი—3; პარატიფით—3; ყვავილით—3; ხოლერით—15; წითელათი 8; დამბლა ციებით—14; ოქტომბრის განმავლობაში საავადმყოფოში მიიყვანეს 134 ავადმყოფი. მათ შორის: წინწკლიანი სახადით—19; მუცლის სახადით—54; შებრუნებითი სახადით—22; ყვავილით—13; ყელჭირვებით—7; ხოლერით—5: წითელათი—2; მალარიით—18; ამ დროში გაჯანსაღდა 156, მათ შორის ტიფით ავადმყოფნი: წინწკლიანი—9; მუცლის—75; შებრუნებითი—17; პარატიფით—3; ყვავილით 3; ყელჭირვებით — 5; ხოლერით — 18; წითელათი—5; მალარიით — 20; გარდაიცვალა საავადმყოფოებში—8; ყვავილით—1; ყელ ჭირვებით—2; ხოლერით—2 და წითელათი—3; ნოემბრის 1-სათვის საავადმყოფოებში იყო 78, მათ შორის წინწკლიანი სახადით 3; მუცლის 31; ყვავილით 12; შებრუნებულ სახადით 8; წითელათი 2; მალარიით 12; ოქტომბრის განმავლობაში სახლში იკურნებოდნენ 43 ავადმყოფნი, მათგან წინწკლიანი სახადით—2; მუცლის 20 და შებრუნებულ სახადით 6, ყვავილით 6, წითელათი 6, ყელთმით 8, ციმბირის შავი ჭირით 1; მთლად ერთ თვეში აღირიცხულა 177 ავადმყოფი. მათში წინწკლიანი სახადით 15, მუცლისა 74, შებრუნებული 28, ყვავილით 19, ყელჭირვებით 7, ხოლერით 5, წითელათი 8, მალარიით 18, ყელთმით 2 და ციმბირის შავი ჭირით 1.

თბილისის ეკონომიური მდგომარეობა

თბილისის ქალაქის რევკომის კოლეგიის თავმჯდომარემ ა. გეგეჭკორმა 11 ნოემბერს მოიწვია თათბირი ს. პ. კ. ს., ფ ნ. სახ. კომ., სასურსათო სახ. კომ., ს. მ. უ. ს. და ქალ. რევკომის წარმომადგენელთაგან თბილისის შერყეულ ეკონომიურ მდგომარეობის გამოსწორების საკითხის განსახილველად. გახსნა რა სხდომა, ამხ. გეგეჭკორმა, მოხსენება გააკეთა ქალაქის კრიტიკულ საფინანსო მდგომარეობის შესახებ, რომლის გამოსავალი უნდა უჩვენოთ. თავისი დასაბუთებული მოხსენება ამხ. გეგეჭკორმა დაასაბუთა ციფრებიანი ცნობებით. ასე მაგალითათ, ქალაქის შემოსავალი უდრის 3 მილიარდს, ხოლო გასავალი სჭარბობს 6 მილიარდს. ქალაქის მსხვილი წარმოებანი—ტრამვაი, ცენტრალური ელექტრონის სადგური, წყალსადენი და სხვა [illegible] საჭიროებენ არა თუ მარტო კაპიტალურ რემონტს, არამედ თავიანთ მოწყობილობის განახლებასაც; მაგალითად, ელექტრონის სადგურზე რვა წლის განმავლობაში არ დაუდგამთ არც ერთი ახალი მანქანა. ამ მდგომარეობიდან, გამოსასვლელათ საჭიროა საშუალება, რომელიც არა გვაქვს, რადგან შემოსავლის წყაროთ დარჩენ ის წყაროები, რომლებიც გადატრიალებამდე იყვნენ, და ახალი არც ერთი არ მიმატებია. ასეთ გამოსავალს წარმოადგენს კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ქალაქში სავაჭრო დაწესებულებათა და საწყობთა მუნიციპალიზაციის შესახებ, რომლის განხორციელებიდგან მოველით ყოველთვიურ შემოსავალს 7 მილიარდ მანეთზე მეტს თვეში. ეს შემოსავალი მისცემს ქალაქს საკუთარ ბიუჯეტს, რომლის წყალობით შესაძლებელი გახდება კაპიტალური რემონტი გაუკეთდეს ქალაქის ყველა წარმოებათ და განახლდეს მათი მოწყობილობა.

მოხსენებამ გამოიწვია აზრთა ცოცხალი გაცვლა-გამოცვლა, რომელთა შედეგათ მოხსენება პრინციპიალურათ მოწონებულ იქმნა. თათბირის შემდეგ სხდომაზე მოხსენება დაწვრილებით იქნება განხილული.

სახალხო განათლება თბილისში

ქალაქის რევკომთან სახალხო განათლების განყოფილება [illegible] გადაკეთებულია სახალხო განათლების კომისარიატის ინსტრუქციის მიხედვით. განყოფილება შესდგება სოციალურ აღზრდის და [illegible] სამმართველოებიდან, რისთვისაც პირველი ამ სამართველოთაგანი იყოფა სამ ქვეგანყოფილებათ: შრომის ერთიანი სკოლის, სასკოლო ასაკამდე სწავლის და ბავშვთა უფლებების დაცვისა. სკოლის გარეშე და ტექნიკური განათლების მართველობა იმყოფება სახალხო განათლების კომისარიატის გამგებლობაში.

შრომის სკოლები.

ყველა ძველი ტიპის სკოლები გადაკეთებულია მთლიან შრომის სკოლათ, რომლებიც ემსახურებიან ბავშვებს 8-დან 15 წლამდე, მასთან მთლიან შრომის სკოლებს, სადაც ეს შესაძლებელია უერთდებიან ბავშვის ბაღს 6-დან 8 წლის ბავშვებისთვის, მთლიან შრომის სკოლებათ გადაკეთებულია წინანდელი დაბალ პირველ დაწყებითი სასწავლებელი პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, გიმნაზიის და რეალური სასწავლებლის პირველი 4 კლასი.

საშუალო სასწავლებლების უფროსი კლასები გადაკეთებულია ტექნიკუმებათ, რომლებიც იმყოფებიან სახალხო განათლების კომისარიატის პირდაპირ გამგებლობაში. მთლიანი შრომის სკოლები ეროვნების მიხედვით იყოფა: ქართული 42, რუსული 30, სომხური 25, თათრული 5, ებრაელების 4 და თითო სკოლა ბერძნების, აისორების, გერმანელების და ოსებისა. პოლონეთის სკოლის გახსნა შეჩერებულია, მასწავლებლების უქონლობის გამო. პირველიდან 10 ოქტომბრამდის სწარმოებდა ბავშვების მიღება შრომის სკოლაში, სადაც მოსამსახურეთა ბავშვებს ღებულობდნენ ყოველ რიგ გარეშე. არასრული ცნობებით 36 ქართულ შრომის სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი უდრის 6958 და 334 მასწავლებელს, 25 რუსულ შრომის სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი—5272, მასწავლებლებთა—302, 23 სომხის შრომის სკოლაში—მოსწავლენი 5769 და მასწავლებელნი 268. ორ თათრულ შრომის სკოლაში—მოსწავლენი 351 და მასწავლებელნი 32. ბერძნების სკოლაში 42 მოსწავლენი და 3 მასწავლებელი. ნემეცის სკოლაში 303 მოსწავლე და 12 მასწავლებელი. ოსებისაში კი 67 მოწავლენი.

პროფტექსკოლები.

პროფტექსკოლები 6 ია, ოთხ მათში 312 მოწაფეა 40 მასწავლებლებით (ორი სკოლიდან ცნობები არა გვაქვს). პროგრამა და მეთოდების გეგმა ამ სკოლებისა იმყოფება დამუშავების პროცესში და ამიტომ მეცადინეობა იქ მიმდინარეობს ძველებურათ.

ბინის კრიზისი.

ბინის კრიზისი დაეტყო სკოლის საქმესაც და ჯერ კიდევ ბევრი სკოლის შენობა არაა განთავისუფლებული გარეშე მცხოვრებლებისაგან: 20 შრომის სკოლა იმყოფება ძალიან ცუდ პირობებში ბინის კრიზისის გამო, ერთს სკოლას 500 მოსწავლით სრულიად არა აქვს შენობა. სკოლის შენობას ძალიან მცირედაა გაკეთებული და ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მინიმალურ რემონტს მაინც.

ბავშვების სახლები.

ქალაქის აღზრდა-განათლების სოციალურ მართველობის განყოფილების განკარგულებაში იყო მიღებული 5 ბავშვის თავშესაფარი, რომლებიც გადაკეთდნენ ბავშვების სახლებათ. ცხოვრება და აღზრდის პირობები ბავშვების ამ თავშესაფრებში იდგა ყოველ კრიტიკის დაბლა. ბავშვების ბევრი ნაწილი ავათ იყო ქეცით და სხვა გადამდები კანის სნეულებით და იმყოფებოდნენ საღ ბავშვებთან ერთად. ყველა ეს ბავშვები, რიცხვით 114 იყვნენ განცალკევებული ამ მიზნისათვის დანიშნულ ბავშვის სახლში № 4, ალექსანდრეს ქუჩაზე.

ბავშვთა სახლები ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში არის 11, სადაც ცხოვრობს 836 ბავშვი. ამ თერთმეტ ბავშვის სახლებში ხუთში იმყოფება სკოლისთვის მოზრდილი ბავშვი, 3-ში უფრო მცირე წლოვანი და სამში კი შერეული. ბავშვის სახლების რიცხვში შეტანილია სამუშაო-სახელოსნო გამასწორებელი ახალშენი მცირე წლოვან დამნაშავეებისათვის, რომელიც გადაკეთებულია ბავშვთა სახლით მორალურ დეფექტიურ ბავშვებისათვის (35 მოსწავლით შერეული ხნისა) და სკოლა—კლუბი სასკოლო ხნის ბავშვებისათვის. სკოლა-კლუბში და 5 ბავშვთა სახლში ქართველი ბავშვებია, 2 ბავშვთა სახლში—სომხები, ერთში—რუსები და ორში—სხვადასხვა ეროვნების ბავშვები.

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზების 50 წ. საიუბილეო კრებული

(1871—1921 წ. წ.)

ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობამ ამ გზების წელს 50 წლის არსებობის შესრულების საზეიმოთ საჭიროთ ჩათვალა გამოეცა პატარა კრებული, რომელშიაც მოყვანილია უფრო საყურადღებო ცნობები გზების აშენებისა, განვითარებისა და ექსპლოატაციის ისტორიიდან.

იუბილეი მოხდა იმავე დროს, როდესაც შეერთებული იყო ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზები და როდესაც გაიმართა საბჭოთა აღმშენებლობის და მეურნეობის გამოფენა, სადაც ეს გზები წარმოდგენილი იყვნენ ყველა თავის განყოფილებებით. კრებულის წინასიტყვაობაში მისი შემადგენლები ამბობენ:

„ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გზების სამ წელს ცალკე არსებობამ დაარწმუნა ყველანი, რომ საჭიროა ამ გზების შეერთება და მათი ერთ დროთ დაკავშირება ისეთ მძლავრ რკ. გზის სხეულთან, როგორიცაა რუსეთის რკინის გზის ქსელი რომელსაც აქვს ძლიერი სულიერი და მატერიალური მარაგი და რომელმაც ღირსეულად გადაიტანა ყველა გაჭირვება, მიყენებული მსოფლიო და სამოქალაქო ომების მიერ. ამ შეერთების კეთილი ნაყოფი ცხადია. აღარაა შორს ის დრო, როდესაც ამ გზების შეერთების აუცილებლობის იდეა, შეგნებული ამიერ-კავკასიის ხალხების მიერ, აღარ გამოიწვევს არც კამათს, არც წინააღმდეგობას.

კრებულის ცალკე თავებში—„მოძრაობის სამსახური“, „წევის სამსახური“, „ნავთსადენი“ „ამიერ-კავკასიის რკინის გზები“, „საექიმო-სანიტარო ნაწილის განვითარების ისტორიული მიმოხილვა“ იძლევიან მოკლე, მაგრამ, სავსებით ამომწურ ცნობებს ამ განყოფილებათა მუშაობის შესახებ.

მოყვანილია ისტორიული ცნობები, ფაქტები და ციფრები, რომელთა უკან დგანან ცოცხალი ადამიანები, მთელი ლაშქარი რკინის გზის მუშაკთა, რომელნიც აღფრთოვანებულნი არიან მათ ხვედრი საქმის მნიშვნელობით.

თავი „ეკონომიური მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის რკინის გზებისა“—იძლევა სულ ციფრებიან ცნობებს, რომლებიც გვიჩვენებენ ტვირთების მოძრაობის რაოდენობას.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ გზები საერთოდ იძლევიან მოგებას, თუ არ ჩავთვლით 1915—1916 წლების დეფიციტებს, როდესაც რკინის გზებისთვის საჭირო მასალების ფასებმა უზომოთ აიწია, მაგრამ როგორც ჩანს ანგარიშიდან—1914 წლის მოგება თითქმის ჰფარავს ამ დეფიციტს.

კრებული, რომელსაც რუკა და ოთხი გრაფიური აქვს დართული, ძლიერ სუფთათაა გამოცემული.

ბ. ყ. კალანდაძე

ა. წ. 24 ოქტომბერს გურიაში (ს. ხიდისთავში) ტიფით გარდაიცვალა ტფილისის ვაჟთა მე-5-ე გიმნაზიის მასწავლებელი ბესარიონ ყარამანის ძე კალანდაძე.

განსვენებული დაიბადა ს. ხიდისთავში 1891 წ. გიმნაზია დაასრულა ქ. არმავირში და იმავე წელს შევიდა ქ. კიევის უნივერსიტეტში ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1914 წელს.

იმავე წელს შევიდა სტუდენტთა სამხედრო—საინჟინრო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1916 წელს სამხედრო ინჟინრის წოდებით და იმავე დროს დანიშნულ იქნა სამხედრო სატექნიკო ესკადრონის პონტონის ხიდების მკეთებელ რაზმში და მსახურებდა ავსტრო-უნგრეთის და გერმანიის ფრონტებზე.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ (1917 წ.) ის მსახურებდა ქ. მოსკოვში გენერალურ შტაბის სამხედრო-სატექნიკო ნაწილის თანამშრომლად.

1919 წ. შემოდგომაზე საქართველოში დაბრუნდა და შეუდგა მათემატიკის მასწავლებლობას ტფილისის ვაჟთა 5 გიმნაზიაში, სადაც სინდისიერად და გულმოდგინედ ასრულებდა თავის მოვალეობას ამ მისთვის ახალ ასპარეზზე.

უდროოდ დაკარგული ბესარიონი ბევრი ღირსებით იყო შემკული, ამიტომ ყველა პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა მას და აფასებდნენ.

დიდი და მძიმე დანაკლისია დაკარგვა ამნაირ ახალგაზრდა ადამიანის საზოგადოდ და კერძოთ სასწავლებლისათვის—და ამ დანაკლისის სიმწვავე ნამეტურ ახლაა საგრძნობი.

მშვიდად განისვენე დაუვიწყარო ჩვენო ბესო...

მეცხრე ტექნიკუმის მასწავლებელთა კორპორაცია.

საბჭოთა აღმშენებლობის და მეურნეობის გამოფენა

კავკასიის სუბტროპიკები გამოფენაზე

სანუგეშოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო-კულტურის მხრივ ასეთ მნიშვნელოვან განყოფილებას გამოფენის ადმინისტრაციამ და კომიტეტმა არ მისცა სათანადო ადგილი. ბათომის ოლქი, ან როგორც ყოველთვის მას უწოდებდა განსვენებული პროფესორი ა. კრასნოვი „სამხრეთ კოლხიდა“, წარმოადგენს უჩვეულოს, ნატიფ სუბტროპიკულ ოლქებიდან, და ამასთანავე ერთად—კავკასიის ერთად-ერთ ნამდვილ სუბტროპიკულ მხარეს. იმ დროს, როდესაც ამიერ-კავკასია ეკუთვნის იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც იჭარბობს ცივი ზამთრები, როდესაც ტერმომეტრი ეცემა 10 გრად. დაბლა და მცენარეულობა, რომელმაც ვერ მოასწრო ფოთლის ჩამოყრა და თავის ფესვების დამალვა კანის ქვეშ—კვირტის გარსით ან მიწაში—იღუპება; შავი ზღვის სანაპირო და მთავრისად მისი ის ნაწილი, რომელიც ეკუთვნის სამხრეთ კოლხიდის (ბათომის ოლქის) სახელს—ჩვენ გვიძლევს სურათს წმინდა სუბტროპიკებისას მათ მცენარეულობითი წარმომადგენლებით—ჩაით, ფორთოხლით და ბამბუკით, რომელიც აქ არამც თუ წარმატებით ვრცელდება, არამედ ერთხელ დანერგილი, მშვენივრად მრავლდება ადამიანის დაუხმარებლად და ადგილობრივ მცენარეულობას სჯობნის კიდეც აქ ბათომის ოლქში შეიძლება მოშენდეს თითქმის ყველა 12 მცენარე, რომლებიც, იმავე პროფესორ კრასნოვის აზრით, თამაშობენ დიდ როლს ქვეყნის ცივილიზაციის ისტორიაში. მაინც. ლერწამი, ლაქის ხე, სანთლის ხე, რამი (აქლემის მცენარე, რომელიც იძლევა მკვიდრ ნაქსოვ), ინდიგო, მუხუდო, ქაღალდის ხე, ჩაი, ფორთოხალი და დიოსკორეია (საკვები) არსებულმა გამოფენამ—პირველმა გამოფენამ საბჭოთა საქართველოსი, რომელიც ვალდებულია გვიჩვენოს არამც თუ ის რაც გაკეთებულია, არამედ ისიც, რის გაკეთებაც შესაძლებელია საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის დარგში, რომელიც ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს, მოგვცა, სამწუხაროდ მხოლოდ ნაწილი იმ „აღმოსავლეთის ლხენთა“ რომლითაც ესე მდიდარია ჩვენი კავკასიური-სუბტროპიკები.

გამოფენაზე წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ჩაქვა, ისიც არა სავსებით. სრულებით არაა წარმოდგენილი ცნობილი ბოტანიკური ბაღი, 1912 წელში დაარსებული მისი განყოფილებებით—ამერიკულისა (მექსიკისა და ჰიმალაების), იაპონიის, ავსტრალიისა და სხვ. აგრეთვე არაა ბათომის ლერწმის ნაწარმოებთა სახელოსნო. ამის და მიუხედავად, გამოფენაზე წარმოდგენილი კულტურულ ღირებული სახალხო მამული „ჩაქვა“ იძლევა თითქმის სრულ სურათს იმისა, თუ რაა აქ უკვე შექმნილი კულტურულ-სამრეწველო მიზნით, თუ არ ვილაპარაკებთ უფრო მცირე უტილიტარულ ხასიათის მიზნებზე—როგორიცაა დეკორატიული, და სხვ. ამ ჟამად მამულის მიერ განვითარებული კულტურა დიდს მასშტაბით—უმთავრესად მცენარეების 3 სახისა,—ჩაის, ლერწმისა და ფორთოხლისა. ჩაქვის კულტურულად—ღირებულ სახალხო მამულის მიერ დაკავებულია 13074,20 დესეტ. სადაც გამოყენებულ მიწას უჭირავს 12,743,26 დესეტ. ნა, გამოუყენებელს—330,98 ჩაის პლანტაციებს კი 499,96 დეს. ფორთოხლის პლანტაციებს უჭირავს 28,80 დეს. და ბამბუკებს კი 33,09 დესეტინა.

პატარა ნაჭერ მიწაზე (66,17 დეს.) გაშენებულია ლიმნები და ციტრონები. ძვირფასი ხეებს, როგორც ევკალიპტუსი, პრობკის მუხა, წმინდა სანთლის ხე,—მამულში უჭირავთ 46,06 დეს.

ამნაირად, ზემოთ მოყვანილ ცხრილიდან ცხადია, რომ ჩაქვის მამულის უმთავრესი ნაწარმოები წარმოადგენს ჩაი, მანდარინი და ბამბუკი. და აი პატარა მოედანი, რომელიც დათმობილი აქვს ჩაქვის ექსპონატებს—ბალკონი და ტერასა ყოფილ არისტოკრატიულ საზოგადოებისა, გადაქცეულია მშვენიერ ტროპიკულ კუთხედ: ჩაქვის თითქმის ყველა დეკორატიულ მცენარეთა ნიმუშები მოთავსებია კასრებით: მარადმწვანე ბზის ხეები, აზიის და ლურის ბუჩქები, ცოცხალი ბამბუკის ბუჩქები, დასასრულ ჩაის ბუჩქები და მანდარინის ხეები, დახუნძლული ნაყოფით,—ყველა ეს ახდენს საუცხოვო ტროპიკულ ბაღის შთაბეჭდილებას. ოქროსფერ მანდარინების მთელი გროვა ყუთებსა და კალათებში, მაღალი მთები ყვითელი ფერის ხილისა—იაპონიის ხურმისა, უზარმაზარი ყვითელ-მწვანე ფერის ციტრუსები, რომელთაც ხმარობენ მურაბის მოსამზადებლათ, ჯერ კიდევ მწვანე მოწყვეტილი ფორთოხლები მწვანე ნედლი ფოთლებით, ახალგაზრდა ბამბუკების მუქი მწვანე ფერის ფოთლები, ყველა ეს წარმოადგენს კონტრასტს თბილისის ფოთოლ ჩამოცვივნულ ხეებთან და სუსტ, სითბოს გამოცლილ მზესთან.

ჩაის მოსავალი შედარებით 1919 და 20 წლებთან, წელს დიდი არაა, სულ 155,000 გირვანქა, რაც აიხსნება მუშა ხელის ნაკლებობით, ამის გამო ჩაი ვეღარ მოკრიბეს რიგზე. გავლენა იქონია ამაზე ადგილობრივ ბერძნების წასვლამ საბერძნეთში, რადგან ჩაის პლანტაციებზე მომეტებულ ნაწილად მუშაობდნენ ბათომის ოლქის ბერძნები.

ჩაქვის მამული ამზადებს ორს უფრო გამძლე ჩაის ჯურას; ინდოურს და ჩინურს. ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მანქანები ამ ჟამად რიგზეა გამართული და თუ საკმაო მუშა ხელი ეყოლება, მაშინ რასაკვირველია ძლიერ გადიდებულ იქნება დამუშავებულ ჩაის რაოდენობა.

მეორე საყურადღებო ექსპონატს გამოფენაზე წარმოადგენს მანდარინი, რომლის მოსავალი წელს უნდა ჩაითვალოს საშუალოთ. მამულის მოურავის ამხ. თუშმალოვის სიტყვით, მანდარინების წლევანდელი მოსავალი არ აღემატება 1 ნახ. მილიონ ცალს, გამოფენაზე ორნაირი ჯიშის მანდარინია—წვრილი უფრო მჟავე და მსხვილი უფრო ტკბილი.

ჩაქვის მამულის მთელი განყოფილება ლამაზათაა დამშვენებული სხვა და სხვა ზომის, ხნოვანების და ფერის ბამბუკის ღეროებით. არის ბამბუკის ღეროები სრულიად შავი ფერისა, ზოგი ოქროსი, ზოგიც ნათელ-მწვანე ფერისა. გამოფენაზე აწყვია ნაწარმოები ბამბუკისაგან: ჭიქები, ავეჯი, კალათები.

ბამბუკის მნიშვნელობა ცხოვრებაში მეტად დიდია: ბამბუკის ზოგიერთ ჯიშის ხის ყლორტებს ხარშვენ და სჭამენ, როგორც მატაცუნს, მის გამაგრებულ ღეროებისგან ამზადებენ ავეჯს და თვით წყალსადენის მილებსაც.

გამოფენაზე, ჩაქვის კულტურულ ძვირფასი მამულის განყოფილებაში, გარდა ჩამოთვლილ უმთავრეს ექსპონატებისა, არის ისეთი ექსპონატები, როგორიც სასუნებელი („დუხი“), მომზადებული მამულში მოყვანილ სურნელოვან მცენარეთა და ბალახებისგან, და აგრეთვე ნიმუშები ციტრუსის და კონ-კასისგან გამზადებული მურაბისა.

პარტიული ცხოვრება

ს. ქ. პ. ტ. ქ. საგიტაციო და საპროპაგანდო განყოფილების მოქმედება 1921 წ. ოქტომბრის თვის განმავლობაში.

აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილება იყოფა ქვეგანყოფილებებად: აგიტაციისა, პროპაგანდისა და სასკოლო ქვეგანყოფილებად. საკლუბო სამკითხველო გაუქმებულია თ. კ. ბიუროს დადგენილებით. სამკითხველო გადატანილია ც. კ. სამკითხველოს შემადგენლობაში, განყოფილებასთან კი დატოვებულია მხოლოდ ექსპედიცია და რაიონულ სამკითხველოების საერთო ხელმძღვანელობა. განყოფილების პერსონალური შემადგენლობა რჩება ძველი. განყოფილებასთან 4 პასუხისმგებელი მუშაკია, არ არის მუდმივი კადრი აგიტატორებისა, პროპაგანდისტებისა, ლექტორებისა, განყოფილების განკარგულებაში. ქვეგანყოფილების მუშაობა გამოიხატა შემდეგში:

საგიტაციო ქვეგანყოფილება: პირველ რაიონში გაიმართა 6 საზოგადო კრება 8000 კაცამდე დასწრებით საშუალოდ თითო კრებაზე 1200 კაცი. მოხსენების თემა: „სამეურნეო აღმშენებლობა“ (3 კრება), „მიმდინარე მომენტი“ (ერთი კრება), „პარტიის გაწმენდა“ (ერთი კრება).

მე-2 რაიონში გაიმართა 32 საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 1200 კაცამდე, ხოლო საშუალოთ თითო კრებაზე 375 კაცი. მოხსენებების თემა: „ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსი“—(19 კრება) „გლეხის მეურნეობის ამოცანები“ (5) „მიმდინარე მომენტი“ (5) „დახმარება დამშეულებისადმი“ (2) და „საბჭოთა აღმშენებლობა“ (1).

აღნიშნულის გარდა ქალთა საზოგადო კრება გაიმართა დელეგატ ქალების არჩევნებისთვის, სადაც გააკეთეს მოხსენებანი თემაზე: „ქალთა საკითხი“, „ქალი აწმყოს და წარსულში“ და სხვა.

მე-3 რაიონში გაიმართა 73 საზოგადო კრება წარმოებებში—იაჩეიკების მდივანთა თათბირი, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პოლიტიკურ კომიტეტების, საერთო სარაიონო პარტიული კრებები, რომელთაც დაესწრო 9000 კაცამდე. მოხსენებების თემა: „ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსი“ (12 კრება) „ახალი სატარიფო პოლიტიკა“ (8 კრება), „ახალი საფინანსო პოლიტიკა“ (5 კრება) „კოოპერაცია“ (8) „პარტიის გაწმენდა“ (5), „შრომის დაცვა“ (8), „გლეხის მეურნეობის ამოცანები“ (5), „საორგანიზაციო და პროფესიონალური საკითხები“—(12).

ამათში არ ჩათვლილა მუშა ქალთა კრებები წარმოებებში.

მე 4 რაიონში გაიმართა 33 საზოგადო კრება წარმოებებში, საერთო სარაიონო პარტიული კრებები, კომუნის. იაჩეიკების მდივანთა თათბირი და სხვა, რომელთაც დაესწრო დაახლოვებით 8000 კაცი, ხოლო თითო კრებაზე საშუალოდ 250 კაცი. მოხსენებების თემა: „ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსი—(15 კრება), „პარტიის გაწმენდა“ (7) „მიმდინარე მომენტი“ (5) და პროფესიონალური და საორგანიზაციო საკითხები (6).

საგიტაციო ქვეგანყოფილებამ მოაწყო მეორე რაიონში სიტყვიერი გაზეთი „კავკასიის მუშა“ № 1, სადაც დაესწრო დაახლოვებით 2000 კაცი. ფიქრობენ მის განმეორებას სხვა რაიონებში.

ამ პერიოდში საგიტაციო ქვეგანყოფილებამ „ბავშვის კვირის“ კამპანია ჩაატარა, რისთვისაც მოეწყო მთელი რიგი კრებები, მიტინგები და სხვა.

საპროპაგანდო ქვეგანყოფილება გამომუშავებულია და დაგზავნილია რაიონებში თეზისები შემდეგ კითხვებზე:

1) მომხმარებელ კოოპერაციის როლი და ამოცანები.

2) გლეხის მეურნეობის მორიგი ამოცანები.

3) ქართველ მენშევიკების პოლიტიკა და მისი დამარცხების აუცილებლობა.

4) ბავშვის კვირის შესახებ.

ამ დროს განმავლობაში გაიმართა ორი თათბირი რაიონების წარმომადგენლების თანადასწრებით, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი თეზისების გამოყენების შესახებ. მოსმენილი იქნა მოხსენებები მუშაობის შესახებ იაჩეიკებში. სასურველად იცნეს მიუჩინონ იაჩეიკებს ისეთი ხელმძღვანელნი, რომელნიც შესძლებენ ნამდვილ ხელმძღვანელობას. წარსულში ამხანაგების მიჩენის მოუხერხებლობა აიხსნება მიჩენილ ამხანაგების მუშაობით მეტის მეტად დატვირთვით, და აგრეთვე მანძილის სიშორით სამგზავრო საშუალებათა უქონლობის დროს: ქვე განყოფილებამ გადასინჯა მიჩენილ ამხანაგთა სია და დასტოვა მხოლოდ ის რიცხვი ამხანაგებისა, რომელთაც დრო აქვთ იაჩეიკებში მუშაობისა. იმ ამხანაგებისა მიმართ, რომელნიც არ ესწრებიან იაჩეიკებს, რომელზედაც ისინი მიჩენილნი არიან, აღიარებულია საჭიროდ, მიიღონ უსასტიკესი ზომები. თუმცა იაჩეიკებში საქმე რამოდენიმედ მაინც გაკეთებულა.

მე 4 რაიონში 9 იაჩეიკა რეგულიარულად აწარმოებდა მეცადინეობას საპროპაგანდო განყოფილების პროგრამით. მე 2 რაიონში—6 იაჩეიკა, 3 რაიონში—10 იაჩეიკა.

სკოლათა ქვე-განყოფილებაში: ქვე-განყოფილების მუშაობა გამოიხატა მეცადინეობის ხელმძღვანელობაში პარტშკოლებში. პარტშკოლებში ლექციები იკითხებოდა საკითხებზე: „ენგელს-ერფურტის, დაწყებითების და მუშავარდნების პროგრამის კრიტიკა“, „ეროვნული საკითხი“, „მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“ „რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია“, „ეკლესია და სახელმწიფო“, „სახალხო განათლება“, „საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო პოლიტიკა“.

პარტშკოლებში მუშაობა ფერხდება მომზადებულ ლექტორთა კადრის უყოლობის გამო, მაგრამ მაინც მსმენელების მიერ შეძენილი ცოდნის დონე უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, რაც ჩანს ანკეტიდან, რომელიც თვით მსმენელებმა შეავსეს.

ამ პერიოდში ტფილ. კომიტ. საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების წიგნთსაცავი თითქმის არ მოქმედებდა გამოცდილ გამგის უყოლობის გამო. ექსპედიციის მუშაობა გამოიხატა შემდეგში: მიღებულია წიგნი—100. ბროშურა—420, ადგილობრივი და უცხო გაზეთი—1043. განაწილებულია: წიგნები—181, ბროშურა—1500, ადგილობრივი გაზეთები—1041 სტატუტი—322, ჟურნალი—147.

გადაწყვეტილია ყველა წიგნი, ბროშურა, რომელიც ექსპედიციაში არის, განაწილდეს რაიონებში, ხოლო ტფილ. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება მომავალში იტოვებს ფუნქციებს ქალაქის პარტიულ ორგანიზაციათა საერთო ხელმძღვანელობის ბიბლიოთეკის საქმეებში.

ამ რიგად ტფ. კომიტ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობაში მიღწეულია საანგარიშო დროში განსაზღვრული სისტემა, მაგრამ მუშაობის შედეგები იმ შემთხვევაში გამოჩნდება, თუ შემდეგი ზომები იქნება მიღებული:

1) მიჩენა ტფილ. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან მუდმივი აგიტატორების, პროპაგანდისტების და ლექტორების კადრისა.

2) ერთ-ერთ ქვეგანყოფილების გამგებლობა (სასურველია საგიტაციო ქვეგანყოფილება) მიენდოს ქართული ენის კარგად მცოდნე ამხანაგს.

3) პროპაგანდის და სკოლის ქვეგანყოფილებანი გაერთიანდეს პროპაგანდის ერთ ქვე-განყოფილებაში.

4) დაინიშნოს გამოცდილი მდივანი განყოფილებაში. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ფიქრობს მოაწყოს ხოლმე კოლექტიურ რეგულარულად ერთ დღეს ერთი (მიტინგი ქალაქის დიდ წარმოებებში) მიმდინარე კითხვებზე. სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა სიტყვიერი გაზეთის და მენშევიკების პოლიტიკურ გასამართლების მოსაწყობათ.

მუშათა მთლიანი კოოპერატივი

(პროფსაბჭოს პლენუმში)

14 ნოემბერს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს (სასახლის ქუჩა) დიდ დარბაზში შედგა პროფესიონალურ საბჭოს პლენუმის სხდომა ცენტრალურ კავშირის მმართველობის და ქარხნების კომიტეტთან ერთად. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მთლიანი მუშათა კოოპერატივის გამგეობის მოხსენება; 2) მოხსენება მუშათა ბინის გაუმჯობესების კომისიისა, 3) საინფორმაციო მოხსენება საქართველოს პროფესიონალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამ. ოდილავაძის სრულიად რუსეთის საბჭოთა პროფესიონალურ კავშირის შესახებ. პლენუმმა მოასწრო განხილვა მხოლოდ ორი პირველი საკითხისა.

მუშათა მთლიან კოოპერატივზე

მუშათა მთლიან კოოპერატივის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამ. მოლაშხია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუშათა მთლიანი კოოპერატივის დაარსებულ განყოფილებათა დაიწყო თავისი მუშაობა რეგულიარულად დაახლოვებით ყველა მუშებით დასახლებულ რაიონებში. შევძლით დავაკმაყოფილოთ ცხოვრების რიგი პირველი საჭიროების საგნებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რწმუნებულთა ინსტიტუტი სრულიად არ შეესაბამება კოოპერატივთა სავაჭრო აპარატს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ დამხმარების მოქმედებაში დავეყრდნობით განსაკუთრებით მუშათა კოოპერატივებს, რომლებიც არიან თითქმის ყველა მაზრაში.

მხოლოდ მჭიდრო დამოკიდებულებით მუშათა კოოპერატივებთან, მხოლოდ მათზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ პროლეტართა კოოპერატივების სალი სავაჭრო პოლიტიკა.

რაც შეეხება გარეშე ბაზარს, მუშათა მთლიან კოოპერატივებს შეუძლიათ გამოვიდნენ მხოლოდ საგარეო ვაჭრობის საშუალებით. ჩვენ შევძელით მხოლოდ შეგვესყიდა აზერბაიჯანის ბონებზე ბაქოში ნავთის ნაწარმოები, რომელიც მოგვცა 1,5 მილიარდით 5 მილიარდის სესხის ანგარიშში. მიუთითა რა, მთელ რიგ ხელშეკრულებებზე ცეკავშირთან და სატყეო კომიტეტთან და სხვებთან მომხსენებელმა გვამცნო, რომ ახლა სწარმოებს მოლაპარაკება ბათომთან სისტემატიურად ფქვილის მიცემის შესახებ მუშათა მთლიან კოოპერატივისთვის. ბათომის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ პურის გამოცხობა არის კოოპერატივისთვის სახეირო საქმე. ჩვენ ვღებულობთ სასურსათო კომისარიატიდან ერთ წისქვილს, ფურნეს, რომელიც იმყოფება ქალაქის სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში, გამოდის აგრეთვე ჩვენს გამგებლობაში. მორიგი კონკრეტული მიზანი წარმოებითი განყოფილებისა არის წისქვილის ამუშავება და პურის საცხობის მოწყობა ფართო მასშტაბით. განყოფილებას აგრეთვე განზრახული აქვს გახსნას თავისი პატარა საპნის ქარხანა და შეუდგეს მუშაობას მუშათა მთლიან კოოპერატივისთვის მიცემულ მაღ-ხოსტანში. რაც შეეხება განაწილების აპარატს, ის შედგება ახლა 6 დუქნისგან, თევზის საწყობიდან და სარძეო-გასტრონომიულ მაღაზიიდან.

ჩვენ საქონელს ვაძლევთ ყველა მოქალაქეებს. მაგრამ წევრებს დაახლოვებით 20—25 პრ. ც. ნაკლებ ბაზრის ფასებზე და ამნაირად გავლენას ვახდენთ სპეკულიაციის ბაზარზე. მუშათა მთლიან კოოპერატივს წევრებს აძლევს ნისიად და უკლებენ 5 პროც. ნაკლებს, ვიდრე სხვა მოქალაქეებს. დუქნების შემოსავალი იზრდება ყოველ დღე. მარტო სარძეო გასტრონომიულმა მაღაზიამ გააკეთა ამ ხნის განმავლობაში 55 მილიონ მანეთზე მეტი.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მუშათა კოოპერაციის აღმშენებლობის ორგანიზაციულ საკითხებს და მის ურთიერთობის შესახებ სამოქალაქო კოოპერაციასთან.

არსებულ სამოქალაქო კოოპერაციის არ შეუძლია იყოს აქტიური ძალა ბაზრის მიმართ და სპეკულიაციასთან საბრძოლველად. ის მისდევს ბაზარს, უფრო მეტ ემორჩილება კიდევაც. მუშათა კოოპერატივების შექმნით, ჩვენ ვქმნით პროლეტარულ სავაჭრო აპარატს. ჩვენ ვამბობთ, რომ მუშათა კოოპერაციის დამოუკიდებლობას დაწესებულებათა და წარმოებებში არა აქვს აზრი. ის ცდა, რომელიც იყო დაწყებული რუსეთში—ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ. ჩვენ მივიღეთ განსაზღვრული სისტემა მუშათა კოოპერაციის აშენებისა—მთლიანი მოწყობა მუშათა კოოპერაციის დუქნები, რომელიც ემსახურება მთელ მუშათა კლასის რაიონს, მაგრამ აქამდე მხოლოდ თავის ნებით შეუერთდა მუშათა კოოპერატივი—ორი ქალის კოოპერატივი. დარჩენილი კოოპერატივი—„ლომისები“ და სხვა განაგრძობენ დამოუკიდებლად არსებობას. მათ მიმართ ჩვენ არავითარი იძულებითი ზომებისათვის არ მიგვიმართავს ჯერ, რადგან ცხადია ახლა ვდგევით მაგრად. მაგრამ დასაბუთებული ჩვენი გეგმა უნდა იქნეს ცოცხალი დამტკიცებული და უნდა შექმნას მუშათა მთლიანი მრავალ-[illegible] დუქანი. წინაღდეგ შემთხვევაში მუშათა კოოპერაცია ექნება მხოლოდ წარწერა „მთლიანი“.

ეხლაც ჯერ კიდევ ბევრი მუშა არაა ჩაწერილი მუშათა კოოპერატივში. უკანასკნელ დროს ახალ წევრთა სიმრავლე ძლიერ გაიზარდა, ისე, რომ ჩვენ ძლივ ვასწრებთ საწევრო წიგნაკების გამოცემას. როდესაც ორგანიზაციაში მუშაობა იქნება დასრულებული, შეუდგებით დუქნების მეთვალყურე კომისიებისა და რწმუნებულთა არჩევნებს. ამასთან უკანასკნელთა კრება არის ჩვენს უკვე მუშათა მთლიან კოოპერატივის მუდმივ გამგეობას. დუქნების მეთვალყურე კომისიები უშუალო კონტროლის ორგანოები დუქნებზე იქნება არჩეული მუშათა მთლიან კოოპერატივის იმ წევრთა კრებებზე, რომელნიც მიწერილნი არიან ამა თუ იმ დუქანზე. ხოლო რწმუნებულთ აირჩევენ წარმოებებსა და დაწესებულებებში. ეხლა ურთიერთობის შესახებ სამოქალაქო კოოპერაციასთან. აქამდე იგი ჩვენი გავლენის გარეშე იმყოფებოდა. საკითხი წამოიჭრა—მუშათა კოოპერაცია უნდა არსებობდეს თუ არა სრულიად ცალკე და დამოუკიდებლივ. თუ უნდა შევიდეს საჭირო მოქმედების ურთიერთობაში სამოქალაქო კოოპერაციასთან. ამ საკითხს ჩვენ უნდა გავცეთ ისეთივე პასუხი, როგორც რუსეთის პროფკავშირებმა. მუშათა მთლიანი კოოპერატივი ეს მხოლოდ გარდამავალი ფორმაა მთელი კოოპერაციის ხელში ჩაგდებისთვის: ცეკავშირი ამ ჟამად აერთიანებს 900 წვრილ კოოპერატივს და 20 სარაიონო კავშირს. საქართველოს ამ ხნოვანებათა ერთი მესამედი კოოპერატივებშია შესული, მაგრამ ამ კოოპერაციის ხელმძღვანელობენ ისინი, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ მუშათა კლასთან, ცეკავშირში მიკერძოებულნი არიან იმ პარტიის მიერ, რომელიც პოლიტიკურ პოზიციიდან გარიყულია და საბჭოთა აღმშენებლობისათვის კეთილსინდისიერად მოჰქონდა მათ არ შეუძლიათ ამიტომ მუშათა კლასმა უნდა ხელში იგდოს მთელი ეს მეურნეობა კოოპერატიული აპარატით. ჩვენი მუშათა კოოპერატივები ბაზრებში უნდა შევიდნენ ცეკავშირში, რათა მიაღწიონ აღვეთილებულ იქნან მუშათა კლასის მტრები და მთელი კოოპერაცია ხელთ იგდონ. ჩვენ, როგორც საბჭოთა რეჟიმში, უნდა გვქონდეს ცეკავშირთან მუშათა კოოპერაციის ჩვენი ცენტრი. ამა თუ იმ გზით მუშათა კლასის გავლენა კოოპერაციაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ნოემბრის 25 ჩვენ ვიწვევთ სრულიად საქართველოს მუშათა კოოპერატივების წარმომადგენელთა თათბირს. ზემოხსენებულ საორგანიზაციო საკითხების გადასაწყვეტად ამ თათბირს ექნება დიდი მნიშვნელობა. მომხსენებელი დასასრულ რეზიუმეს უკეთებს თავის მოხსენებას შემდეგ დებულებით:

1) მუშათა მთლიან კოოპერატივს უნდა მიეცეს რეგულიარული დახმარება, კერძოდ უნდა დაეხმარონ 5 მილიარდ მან. სესხად მიცემა, გადადებულის სახელმწიფოს მიერ.

2) საბჭოთა ყველა სამეურნეო ორგანოებში ს. მ. უ. ს. მომმარაგების სახალხო კომისარიატმა და სხ. უწყებებმა უნდა მისცენ გაერთიანებულ მუშათა კოოპერატივს მისდამი

ამ მასალების ნაწარმოების და სხვათა გადაცემაში, რომლებსაც აღნიშნული ორგანოები გამოუშვებენ ბაზარზე. ეს არ ჰნიშნავს, რომ მუშათა გაერთიანებულმა კოოპერატივმა უნდა ისარგებლოს მონოპოლიით ან და საბჭოთა ორგანოების მხრივ მზრუნველობით, ვინაიდან თვით ამ მზრუნველობამ შეიძლება ამ გაერთიანებულ მუშათა კოოპერატივს მოუტანოს ვნება.

3) მუშათა კლასი უნდა წარმოდგენილ იქმნეს ცეკავშირში, უნდა შეუდგეს ორგანიზაციულ კავშირს საქალაქო კოოპერაციასთან, საბოლოო მიზანია ყველა კოოპერატიულ აპარატების დაპყრობა.

მოხსენების დასრულების შემდეგ, ამხ. [illegible] უპასუხებს მრავალ შეკითხვებზე მისდამი გადაცემული პლენუმის მონაწილეთა მიერ ბარათებით.

ამხ. ვირაპის სიტყვა.

მოხსენების შესახებ ხსნის რა კამათს, ამხ. ვირაპი აღნიშნავს, რომ მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის სიახალგაზრდე ისახება მის მუშაობის ნაყოფიერებაზეც მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის აპარატი ჯერ ცუდათაა მოწყობილი და ყველა მუშებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ აპარატის გამაგრებაში.

შემდეგ ამხ. ვირაპი სთვლის საქმისათვის ძალიან მავნედ მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის მიერ კომერციულ კავშირის უქონლობას საბჭოთა რესპუბლიკების აზერბაიჯანის, სომხეთის რუსეთის და სხ. მუშათა კოოპერაციებთან, რომ არ ითქვას რა საქართველოს მუშათა კოოპერატივებთან კავშირის უქონლობაზე. რაც შეეხება კი საკითხს მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივისადმი ს. მ. უ. ს. მომარაგების სახალხო კომისარიატის და სხ. საბჭოთა ორგანოების მხრივ უპირატესობის მიცემას, ეს, უნდა განხორციელდეს [illegible] შენიშვნით დანარჩენ სხვა თანასწორ პირობებში. გადადის რა მუშათა კოოპერაციის ორგანიზაციულ აღმშენებლობის საკითხზე, ამხ. ვირაპი ამბობს, რომ ყოფილ ეკონომიურ საზოგადოების კოოპერატივი საჭიროა, რომ შეუერთდეს მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივს. რაც შეეხება კოოპერატივ „ალორძინებას“, მისი ხელმძღვანელები უნდა მოწვეულ იქმნენ პროფსაბჭოს პლენუმის სხდომაზე და მათ შეგვატყობინონ თუ რა გააკეთეს მათ იქ და როგორ მუშაობენ ეხლა“.

რეზოლიუცია

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმი ერთხმად ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: მოისმინა რა მოხსენება მუშათა კოოპერატივის მუშაობის შესახებ, პროფკავშირთა პლენუმმა ფაბრიკის და ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად დაადგინა:

1. ცნობილ იქნეს მუშათა გაერთიანებულ კოოპერატივის მუშაობა გასულ დროში საერთოდ, მუშათა კლასის ინტერესების თვალსაზრისით დამაკმაყოფილებლად.

2. მიეცეს აუცილებლად გაერთიანებულ მუშათა კოოპერატივს სესხი დაიაო სახელმწიფო ორგანოების მხრივ ფულისა და საქონლის რესურსებით, ურომლისოდაც მცირე საპაიო გადასახადის გამო, გაერთიანებული მუშათა კოოპერატივი ვერ შეძლებს გააფართოვოს სათანადო თავის ოპერაციები და შეასრულოს მუშათა კლასის მიერ მასზე დაკისრებული მიზნები.

3. ბაზრის უფრო კარგად გამოყენებისათვის, ყველა სახელმწიფო ორგანოები (სასურსათო კომისარიატი, ს. მ. უ. ს. და სხვა.). მათთვის საჭირო საქონლის და დამზადებულ ოპერაციებს ახორციელებენ უმთავრესად გაერთიანებულ მუშათა კოოპერატივის აპარატის საშუალებით. გაერთიანებული მუშათა კოოპერატივი ამ რიგად უნდა იყვეს სახელმწიფოს ძირითად კონტრ-აგენტად სავაჭრო საქმეში. გაერთიანებულ მუშათა კოოპერატივს მიერ დასახულ მიზნების განსახორციელებლად ხელშეკრულებების და შეთანხმებების დადების დროს, მას [illegible] უპირატესობა ეძლევა სხვა ყველა კონტრ-აგენტების წინაშე.

4. საჭიროდ იქნას ცნობილი ახლო მომავალში შეერთება ყველა ჯერ კიდევ შეუერთებელ კოოპერატივებისა გაერთიანებულ მუშათა კოოპერატივთან. ამ მიზნისთვის პირველ რიგში საჭირო იქნას ცნობილი ყოფილ „სახელმწიფო მოსამსახურეთა კოოპერატივის“ საჩქარო ლიკვიდაცია, კოოპერატივ „ალორძინების“ საკითხი გადაიდვას შემდეგ სხდომისათვის, რომელსაც მოწვეულ უნდა იქნეს გამგეობა საანგარიშო მოხსენებით, რომლის თანახმადაც გადასწყდება საკითხი.

5. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საქართველოს კოოპერაციის ხელმძღვანელობა იმყოფება მუშათა კლასის გავლენის გარეშე, საჭიროა იყვეს ჩვენი წარმომადგენელი საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირში (ცეკავშირი). ისახავს რა თავის უახლოეს მიზნად საქართველოს მუშათა კლასის მიერ ყველა დანარჩენ კოოპერაციების სამეურნეო დაუფლებას და მათ დამორჩილებას პროლეტარულ სახელმწიფოს ინტერესებისათვის, რის განსახორციელებლად საჭიროდ იქნას ცნობილი საქართველოს მუშათა კოოპერატივების თათბირის მოწვევა, რომელზედაც უნდა გამოირკვეს ამ საკითხის საერთოდ სისწორით გატარების ხაზი. ამას გარდა საჭიროა დეკრეტის გზით უზრუნველ იქნენ 1 მესამედი მუშათა წარმომადგენლებისა ცეკავშირის რწმუნებულთა კრებაზე.

წარმოებით პროფკავშირებში

საქართველოს სარაბჭოს, საპროფბიუროებს, ყველა პროფკავშირთა გამგეობებს. პროლეტარულ ახალგაზრდობის პროფესიონალურ მოძრაობაში ჩაბმის შესახებ.

ძვირფასო ამხანაგებო.

ს. პ. კ. ც. საბჭო აუცილებლად სთვლის პროლეტარულ ახალგაზრდობის პროფესიონალურ მოძრაობაში ჩაბმას და აქცევს თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ აღმშენებლობისთვის მუშა ახალგაზრდობის პროფესიონალურ საწარმოო აღზრდას. სთვლის რა კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირს მუშა ახალგაზრდობის ფართო მასსების გამაერთიანებელ ორგანიზაციად, ს. პ. კ. ს. მიუთითებს საქართველოს ყველა პროფკავშირებს, რომ მთელი მუშაობა კომუნიზმისთვის მებრძოლ ახალგაზრდობის აღსაზრდელად უნდა სწარმოებდეს საქ. კომ. ახალგაზრდობის კავშირის მეოხებით. ამიტომ, ს. პ. კ. ს. წინადადებას აძლევს ყველა პროფკავშირებს გაუწიონ ენერგიული დახმარება ს. კ. ა. კ. მუშათა მასსების მოკავშირეებს პოლიტიკურად აღზრდის საქმეში. პროფკავშირების ორგანოებს შორის ორგანული კავშირის დასამყარებლად და აგრეთვე პროლეტარულ ახალგაზრდობის წრიდან პრაქტიკულ მუშაობის პროცესში, საწარმოო პროფესიონალურ კავშირთა ორგანიზატორების და მოღვაწეების აღზრდის მიზნით, ს. პ. კ. ს. აუცილებელ საჭიროდ სთვლის კ. ა. კ. წარმომადგენლების შეყვანას ყველა პროფკავშირთა ორგანიზაციებში, ს. პ. კ. ს. საჭიროდ სთვლის პირველ რიგში ამ ორივე ორგანიზაციის უჯრედებს შორის კავშირის გაბმას (პროფკავშირების იაჩეიკების კომ. ახ. კავშირის იაჩეიკებთან) და ამიტომ წინადადებას აძლევს ყველა საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებს შეიყვანონ წარმომადგენელი საქ. კომ. ახალგ. კავშირიდან სათათბირო ხმის უფლებით. აგრეთვე უნდა მიეწყოს წარმომადგენლობა კომ. ახ. კავშირის სამაზრო კომიტეტიდან საპროფბიუროებს და მათ პრეზიდიუმებში და საპროფსაბჭოში და მის პრეზიდიუმში კომ. ახ. კავ. სათანადო კომიტეტისაგან: პროფკავშირების გამგეობაში წარმომადგენლები შევლენ კომ. ახ. კავ. სათანადო კომიტეტისაგან, მათ მიერ დამართულ არჩევნებით. კომ. ახ. კავშირის და უმაღლეს უჯრედების პროფკავშირებში წარმომადგენლობა უნდა ატარებდეს აღზრდითი ხასიათს. კომ. ახ. კავ. წარმომადგენელი ამა თუ იმ დარგში თავის მოღვაწეობით ემსახურება [illegible] და ყოველისა ახალგაზრდობას (მოზრდილთა შრომის დაცვა), შემდეგში თანდათან უნდა ჩაბმულ იქნეს მუშაობაში და აწარმოებდეს უფრო და უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოს, მაგრამ არა ტეხნიკური ხასიათისას. სთვლის რა აუცილებლად, რომ მთელი წარმოებაში ჩაბმული ახალგაზრდობა იყოს პროფკავშირის წევრებათ, ს. პ. კ. ს. აღიარებს რომ პროფკავშირებთან ახალგაზრდათა სექციის შექმნა დააშორებს ახალგაზრდობას დანარჩენ მუშათა კლასისაგან და განავითარებს მასში ვიწრო ამქრულ შეხედულებებს, ამიტომ საბჭო წინააღმდეგია პროფკავშირებთან სხვა და სხვა ახალგაზრდათა სექციების შექმნისა და აუცილებლათ სცნობს ყველა პროფკავშირების საქართველოს კომ. ახ. კავშირთან დაკავშირებას და წინადადებას აძლევს ყველა პროფკავშირებს გადასწყვიტონ ყველა საკითხები ახალგაზრდობის შესახებ კომ. ახ. კავშირის წარმომადგენელთა თანდასწრებით.

ს. პ. კ. ს. თავმჯდომარის მაგიერ
კ. ოდილავაძე.
ს. ა. კ. (პ. კ. მდივანი: **ძნელაძე.**
შრომის და განათლ. განყოფ. გამგე: **დეგდერიანი.**

ტრანს-ლითონის კავშირის მუშაობა ოქტომბერში.

ც. გ. მუშაობა. ოქტომბრის თვიურ ანგარიშიდან ირკვევა, რომ ც. გ. მუშაობა მიმართული იყო განყოფილებათა კარგად და საბოლოოდ მოწყობისა, წარმოების გაძლიერებისა და ახალ სამეურნეო ცხოვრებაზე გადასვლისაკენ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. პრეზიდიუმი ყურადღებას აქცევდა მუშაობის კარგათ გატარებას და წარმოადგენდა საკონტროლო ორგანოს ყველა განყოფილებათათვის მათ მუშაობის დაწყებისას, სახელდობრ, მომავალ მუშაობის გეგმის შედგენაში. ამას გარდა პრეზიდიუმმა გადასჭრა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც არ ითმენდენ გადადებას, და რომლებიც დიდ მნიშვნელოვანნი იყვნენ სამეურნეო თვალსაზრისით, როგორიც იყო ვაგონების შეკეთება, პროფტეხნიკურ სკოლებისათვის მანქანების შეკეთება, შეშის დამზადება, ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის გამოკვლევა, ბოსტნების დახვნა და სხვა.

ც. გ. განყოფილებათა მუშაობა.

საორგანიზაციო განყოფილება. შეამჩნია რა ბევრ ადგილობრივ კომიტეტებში დაუდევრობა მუშაობაში, რევიზიისა და საქმეების გამოკვლევის შემდეგ, საორგანიზაციო განყოფილებამ მოახდინა უმოქმედო ადგილობრივ კომიტეტების ნაცვლად ახალი არჩევნები. ეჩხევა გამოცდილ მუშაკთა ნაკლებობა ადგილებზე. პროვინციის განყოფილებათა გასაუმჯობესებელი მუშაობა სწარმოებდა სუსტათ, ვინაიდგან განყოფილების მთელი ყურადღება მიქცეული იყო ახალწვევრი ადგილობრივ კომიტეტის და მათი მუშაობის აღდგენისაკენ.

შრომის ნორმის განყოფილება. ნორმალურ შრომის ფასის დაკმაყოფილება წარჩინებით ტარდება. ოქტომბერში პრემია მიეცა 924 მუშას 70 მილიონ მანეთისა.

მომარაგების ქვე-განყოფილება. მიუხედავათ იმისა, რომ გამოყოფილი იყო საგანგებო კომისია შეშის დასამზადებლად, ქვე-განყოფილებას უხდებოდა მეტად აქტიური მონაწილეობა ზემო აღნიშნულ კომისიის მუშაობაში, როგორც ცენტრში, აგრეთვე დამზადების ადგილებზე. ოქტომბერში დაამზადეს 200 კუბ. საჟ. შეშა.

ეკონომიური განყოფილება. მელითონეთა და ტრანსპორტის მუშათა შეერთების გამო ეკონ. გან. ინიციატივით შესდგა მთელი რიგი გაერთიანებულ სხდომებისა, სამეურნეო მუშაობის საკითხისა და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ. კურსანტთა ჯგუფებმა შეაკეთა და დაამუშავა 35 ძალა ყოფილ სამხედრო სკოლის ელექტრო სადგურისა. იმავე კურსანტებმა დასდგეს და აამუშავეს მამოძრავებელი „პოლიარ დიზელი“ 50 ძალისა ყოფილ ტერ ფარსეგოვის ელექტრო სადგურზე.

კულტურული განყოფილება. კულტურული მუშაობა შეჩერებულია მასალის უქონლობის გამო. 7 ნოემბრისათვის განზრახული იყო შოფერ მექანიკოსებისათვის კურსების გახსნა. გახსნილია მთელი რიგი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებისა წარმოებებთან, და აგრეთვე ერთი მეორე საფეხურის სკოლა. კავშირის წევრად ირიცხება 3,370

პროვინციაში

მარტვილის რაიონი.

(სენაკის მაზრა).

1921 წელს 23 ოქტომბერს რაიპარტკომის ხელმძღვანელობით მოეწყო შეშის დამზადების კამპანია ყველა რაიდაწესებულებისათვის. შეშის დამზადებაში მონაწილეობა მიიღო 120 კომუნისტმა, 30 კომ ახ. კავშირის წევრმა, 60 მოწაფემ და 4 მასწავლებელმა, მშვენიერი სანახაობას წარმოადგენდა სამუშაოთ მოსული ამხანაგები რაიპარტკომთან, რომ თავს იყრიან და შემდეგში სიმღერით და ხალისით მიემგზავრებიან სამუშაოთ პარტკომის მდივანთან ერთად. მიუხედავათ იმისა, რომ შეშის საჭრელი მთა 20 ვერსის მანძილზე იყო, არც ერთ ჩვენთაგანს დაღლილობა არ უგრძვნია და ყველა ჩვენთაგანი მისვლისთანავე ხალისით შეუდგა მუშაობას; ვიმუშავეთ საათის 6-მდის, როცა დაბინდდა. მეორე დღეს უფრო დასვენებული შეუდგით საქმეს და ვიმუშავეთ შუადღემდე. იქმნა დამზადებული 50 საჟენი შეშა, ამის შემდეგ სიმღერითვე უკან დავბრუნდით ფრიად კმაყოფილი.

საჭიროა მოკლე დროში ასეთი კამპანია მოეწყოს მარტვილის რაიონის თემებისათვის.

რათა ისედაც ეკონომიურათ დაუძლურებულ სახელმწიფოს ზედმეტი ხარჯები არ გავუღებინოთ და ამით ხელი შევუწყოთ მთავრობის გამტკიცებას და სახელმწიფოს აღორძინებას; იმედია, მომავალშიაც ასევე შეგნებულათ შეხვდებიან ამხანაგები ასეთი კამპანიებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სახელმწიფოს აღმშენებლობითი, ისე თვით გლეხების შეგნებისა და განსაზოგადოებრივი მუშაობისათვის.

მუშა კომუნისტი.

ნოქალაქევი.

(სენაკის მაზრა).

1921 წ. 2 ნოემბრიდან ექვსი ნოემბერამდე რაიონული პარტკომის თაოსნობით ამხ. ისიდორე გულორდავა და ალექსანდრე ჯოჯუას მიერ შემოვლილი იქმნა რაიონში შემავალი შემდეგი თემები: ნოქალაქევი, ლეძაძამე, ფოცხო და უშაფათი ყველა თემებში იყო მოწვეული პარტიის წევრების და კანდიდატების საერთო კრებები, სადაც ესწრებოდა ამხანაგების დიდი უმრავლესობა. კეთდებოდა მოხსენებები სხვა და სხვა თემებზე და საკითხებზე. მთელს რაიონში არსებობს 13 კომუჯრედი. მეცადინეობა უჯრედებში სისტემატიურად სხვა და სხვა მიზეზების გამო არ ხდებოდა, გაზეთების მიღებაც შეფერხებული იყო. მაგრამ ყველა ეს ნაკლი დღეიდან უნდა ჩაითვალოს აცილებულად. უკვე სწარმოებს ყველა უჯრედებში მეცადინეობა ყოველ კვირეში ერთხელ, სადაც ირჩევა სხვა და სხვა ბროშურები და გაზეთები.

უნდა ითქვას, რომ მთელს რაიონში პარტიული მუშაობა სულ რამოდენიმე კვირის განმავლობაში დადგება იმ სიმაღლეზე რომელ სიმაღლეზედაც უნდა იყოს ყველგან კომუნისტური პარტიის ორგანიზაციები.

ი. გულორდავა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 95.

საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

დაწესებულებათა და წარმოებათა შტატის შემამცირებელი კომისიის თაობაზე საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1921 წ. ოქტომბრის 12 თარიღით და 83 №-ით გამოცემული დადგენილების შეცვლისა და შევსების შესახებ.

ზემოაღნიშნულ დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. შტატის შემამცირებელი სამაზრო კომისია შესდგება ხუთი წევრისაგან: ორი წარმომადგენელი—სამაზრო პროფესიონალური ბიუროსი, ერთი—შრომის განყოფილებისა, ერთი—მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ერთიც სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტისა. ეს უკანასკნელი არის კომისიის თავმჯდომარე.

2. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

შრომის სახალხო კომისარი
ლ. დუმბაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარაძე.**

1921 წ. ნოემბრის 15.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 96.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

ფოსტის ამანათების გადასაგზავნი ნიხრის გადიდების შესახებ.

1. გადიდებულ იქნეს ფოსტის ამანათების გადასაგზავნი ნიხრი შემდეგნაირად:

2 გირვანქამდე.	3000 მან.
2-დან—7 გირ.	6000 „
7-დან—12 გირ.	10000 „

და 12 გირვანქას ზევით თითო გირვანქაზე ან მის ნაწილზე—1000 მან.—დანარჩენი გადასახადი ამანათებისათვის რჩება ძველებურად.

2. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **ბ. კვირკველია.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1921 წ. ნოემბრის 15.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 97.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

დასამწყვდევ ადგილებში შესვლის წესის შესახებ.

დასამწყვდევ ადგილებში შესვლის წესრიგის მოგვარებისათვის და იმ ურთიერთობის განსაზღვრისათვის, რომელიც უნდა არსებობდეს, ერთის მხრით, საბჭოთა დაწესებულების და თანამდებობის პირთა და, მეორეს მხრით, იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილების ქვემდებარე დასამწყვდევ ადგილების ადმინისტრატიულ პირთა შორის, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. იმ პირთა გარდა, რომელთაც სამსახურეობრივი მდგომარეობის ძალით უფლება აქვთ ზედამხედველობა გაუწიონ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილების ქვემდებარე დაწესებულებათ,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის დასამწყვდევ ადგილებში შესვლა შეუძლიათ:

ა) სახალხო მოსამართლეებს, საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრებს და რევოლიუციონური ტრიბუნალის კოლეგიის წევრებს იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად კანონიერია და სწორი საბაბი პატიმართა დამწყვდევისა სათანადო რაიონებში;

ბ) მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს—თავისუფლების აღკვეთის ადგილების ყოველმხრივი რევიზიისათვის;

და გ) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს—დასამწყვდევი ადგილების დასათვალიერებლად სამკურნალო-სასანიტარო საქმის მხრით.

2. წინა მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ პირთა დასამწყვდევ ადგილებში შესვლა შეიძლება თვინიერ განსაკუთრებული ნებართვისა. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთ უნდა ჰქონდეთ სპეციალური მანდატები რევიზიის მოხდენისა ან სამკურნალო სასანიტარო დათვალიერებისათვის.

3. სახალხო გამომძიებელნი და სხვა ორგანოები, რომელთაც მინდობილი აქვთ წინასწარი გამოძიების ან გამორკვევის მოხდენა, და აგრეთვე დამცველნი, თუკი უკანასკნელი წარადგენენ დამწყვდეულთა სანახავ ნებართვას, თავიანთ მოვალეობას ასრულებენ დასამწყვდევ ადგილებში ამისათვის განსაკუთრებულად მიჩნეულ ოთახებში.

4. ჩხრეკა, გამორკვევა და დათვალიერება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში უნდა მოხდეს საზოგადო წესების მიხედვით, მაგრამ უსათუოდ თავისუფლების აღკვეთის ადგილის გამგისა, ან მისი მოადგილისა, ან და ცენტრალურ დასჯა—გასწორების განყოფილების ან მისი ადგილობრივ ქვეგანყოფილების მიერ დანიშნული განსაკუთრებული წარმომადგენლის თანდასწრებით.

5. თავისუფლების აღკვეთის ადგილში შესვლის დროს უნდა იხელმძღვანელონ ამ ადგილის შინაგანი განაწესრიგების ინსტრუქციით.

6. ზემო-ჩამოთვლილ პირთაგანს არავის უფლება არა აქვს გასცეს რაიმე განკარგულება, ხოლო შემჩნეულ უწესოებათა შესახებ უნდა აღნიშნონ დასამწყვდევ ადგილებში ამისათვის არსებულ დავთრებში, ან აცნობონ ცენტრალურ დასჯა—გასწორების განყოფილებას.

7. ის, ვინც დაარღვევს ამა დადგენილებას, პასუხისგებაში მიცემულ იქნება რევოლიუციონური დროის კანონების სრული სისასტიკით.

8. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

იუსტიციის სახალხო კომისარი
ს. ქავთარაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1921 წ. ნოემბრის 15.
თბილისი-სასახლე.

ჩვენი ფოსტა

ზემო-გამში. ამხ. კომლაძეს. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები რეგულიარულად.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible]და ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—ამანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ყოფილი თბილისის ვაჟთა მე-5 ე გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია ღრმისი გულის ტკივილით აცნობებს ქართველ საზოგადოებას თავის ნორჩ, ახალგაზრდა თანამშრომლის და მასწავლებლის

ბესარიონ ყარამანის ძე პალანდაძის

უდროოთ გარდაცვალებას.

ს. ს. ს. რ. ჯარების პოლიტ. განათლების სალიტერატურო სექცია წითელ არმიელთა კლუბში ხსნის დეკემბრის პირველ რიცხვებში

მხატვრულ ლიტერატურის

სტუდიას

ჯარების ნაწილებში არსებულ ლიტერატურულ წრეების ხელმძღვანელთ ევალებათ დაჩქარებით წარმოადგინონ სიები შევსებულ საანკეტო ბარათებით.

მსურველთა ჩაწერა სწარმოებს ცენტრალურ კლუბში.

სექციის გამგე.

ჟურნალი „ქურა“

ამ მოკლე ხანში გამოვა სალიტერატურო პროლეტარული ჟურნალი „ქურა“ იუმორისტული განყოფილებით.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების მთავარმმართველობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5.) სანდრო ეულის სახელზე.

პარტიული

ოთხშაბათს 23 ნოემბერს საღამოს 6 საათზე შესდგება მე 4 რაიონის წევრების და კანდიდატების და ამავე რაიონის ახალგაზრდათა კავშირის საერთო კრება „მიხა ცხაკაიას“ სახელობის კლუბში (ოლღას ქუჩა № 3).

დღიური წეს-რიგი:

1) კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია;
2) საბჭოთა არჩევნების კამპანიის შესახებ;
3) პარტია და კომუნისტ. ახალგაზრდათა კავშირი.

საბჭოთა

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ტყავეულობის განყოფილების გამგე საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ თვის 23-დან იხსნება ფეხსაცმელების, ტყავ ნაწარმოების და საგალანტერიო საქონლის ვაჭრობა ნაჭრობით და ბითუმად.

25 ნოემბრიდან გაიხსნება მეორე მაღაზია მხოლოდ ნაჭრად სავაჭროთ თავისუფლების მოედანზე, ზედგინიძის ყოფილ მაღაზიაში. ყიდვა ყველას შეუძლიან.

— **სასამართლოს მოწყობის განყოფილება** ამით აცხადებს: გაუქმებულ სასამართლოს დაწესებულებათა პირებს, რომელნიც ა. წ. ოქტომბრის 1-დან დარჩენილი არიან შტატ გარეშე, შეუძლიანთ მიიღონ სალიკვიდაციო ჯილდო იუსტიციის სახალხო კომისარიატის საფინანსო განყოფილებიდან ყოველ დღე დილის 11—3 საათამდე მოწმობის წარმოდგენით, რომ ისინი სხვა დაწესებულებაში არ მსახურებენ.

სასამართლოს მოწყობის განყოფილების გამგე.

— ამიერ-კავკასიის რკინის გზები ამით აცხადებს. რომ 27 ამა ნოემბერს შუა დღის 12 საათზე საკომერციო ნაწილში იქნება დანიშნული მატარებლის ბუფეტის იჯარით გაცემა, რომელსაც ექნება მსვლელობა 1 დეკემბრიდან სასურსათო მატარებლით ბათუმ და ბაქოს შუა.

განცხადებასთან ერთად, რომელშიაც უნდა იყოს ნაჩვენები შემოძლეული ფასი, დართული უნდა იყოს საჭმელების და სასმელების სია, მათი ცალ-ცალკე ფასის აღნიშვნით.